საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს

№88 (1598)

6–9 სექტემბერი, 1997 წელი



## სახელმწიფო მეწველი ძროხა არ არის, მაგრამ არც ბერწი უნდა იყოს

3

## თვითნებობა თუ თვითმმართველობა?

გუშინ საქართველოს პარლამენტი შეუდგა „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ კანონპროექტის განხილვას. როგორც საგაზაფხულო სესიაზე, ახლაც შეურიგებელი დაპირისპირება მოყვა დებულებას ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირების პრინციპების შესახებ. არადემოკრატიული იდეა – პრეზიდენტის მიერ არა მარტო გამგებლების, არამედ მათი მოადგილეების დანიშვნის შესახებ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამოღებულია კანონპროექტიდან. სულ სამი ვარიანტი განიხილებოდა: რაიონებისა და ქალაქების ადმინისტრაციების პირდაპირი არჩევა; მათი პრეზიდენტის მიერ დანიშვნა საკრებულოების ჩაურევლად და შერეული ვარიანტი – პრეზიდენტი შენიშნავს და საკრებულოები ამტკიცებენ წარმოდგენილ კანდიდატურას (თუ პირიქით).

გაზაფხულიდან დღემდე მნიშვნელოვნად არ შეცვლილა ძალების გადანაწილება განხილვისა და კენჭისყრის დროს. მას შემდეგ, რაც ვერ მოაგროვა ხმების საჭირო რაოდენობა წინადადებამ გამგებლების პირდაპირი არჩევის შესახებ, სამმა საპარლამენტო ჯგუფმა თქვა უარი შემდგომ განხილვაში მონაწილეობაზე. ამასთან, ნათელაშვილის კოალიციამ და ედპ-ის ფრაქციამ საერთოდ დატოვეს დარბაზი. მათ სოლიდარობა გამოუცხადა ფრაქცია „აღორძინებამ“ და მხოლოდ იმაში ჩამორჩა, რომ არ გადადგა ასეთი რადიკალური ნაბიჯი.

სავარაუდოა, რომ სამ დროებით მოკავშირეს ასეთი ქმედების სხვა და სხვა მოტივი გააჩნია. ირინა სარიშვილი-ჭანტურია, დიდი ხანია, ღიად აცხადებს, რომ თბილისის მერის თანამდებობის დაკავების სურვილი აქვს და, რა თქმა უნდა, მის პარტიას არ აძლევს ხელს პირდაპირი წესით არჩევის გამორიცხვა. საქმე სხვაგვარად წარიმართებოდა, მას რომ პრეზიდენტის მყარი ნდობა მოეპოვებინა. როგორც ჩანს, ეს ასე არ მოხდა.

შალვა ნათელაშვილის მემარცხენე-მემარჯვენე კოალიციამ დემოკრატიის ყველაზე ურღალატო მიმდევრების პოზიცია დაიკავა. კოალიციის იმ წევრებში, რომელთაც თავისი ინტერესები აქვთ რეგიონში, პოპულისტური მომენტებიც შეინიშნება და წმინდა პრაგმატულიც. ისევე როგორც კარის გაჯახუნების წინ იციან. კოალიციამ განაცხადა, რომ სხვა, არასაპარლამენტო კოალიციას უერთდება, რომელიც რეფერენდუმზე აპირებს ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელთა პირდაპირი არჩევის საკითხის გატანას.

ფრაქცია „აღორძინებისთვის“, რომლისთვისაც დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ხელისუფლება დანიშნავს თუ არა ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების ხელმძღვანელებს, ძნელი წარმოსადგენია აჭარაში მნიშვნელოვან თანამდებობაზე ასლან აბაშიძისათვის მიუღებელი პიროვნების დანიშვნა. ამიტომაც ისარგებლეს მომენტით „სამოქალაქო“ უმრავლესობისათვის ზარალის მისაყენებლად. მათ ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნების კამპანიის დროინდელი ანგარიშები აქვთ გასასწორებელი, ხოლო ფრაქცია „აღორძინებიდან“ რამდენიმე თვალსაჩინო წევრის გაქცევა არცთუ უსაფუძვლოდ ასოცირდება არა მარტო ასლან აბაშიძის შერყეულ ჯანმრთელობასთან, არამედ „მოქალაქეების“ ხელმძღვანელობის მიზანმიმართულ მუშაობასთანაც.

სხდომაზე შექმნილ ვითარებაში ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ფრაქცია „სახალხო“ და მისი თავმჯდომარე მამუკა გიორგაძე. მათ პოზიციაში გაზაფხულს აქეთ მომხდარი ტრანსფორმაცია – პირდაპირი არჩევნების გარდა სხვა ვარიანტების დაუშვებლობიდან შერეული ვარიანტის მხარდაჭერამდე, რომელიც პრეზიდენტისა და საკრებულოების ურთიერთმოქმედებას ითვალისწინებს, – ადასტურებს გაჟონილ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ „სახალხომ“ და „მოქალაქეებმა“ საკმაოდ ნაყოფიერად იცურავეს და გაირუჯნენ პარლამენტის ბიუროს „საზღვაო“ სხდომის განმავლობაში.

მას შემდეგ, რაც ედპ-მ, ნათელაშვილის კოალიციამ და „აღორძინებამ“ ერთგვაროვნად დააფიქსირეს თავისი პოზიცია, ფრაქცია „სახალხო“, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, ერთ უღელში აღმოჩნდა საპარლამენტო უმრავლესობასთან. პარტია, რომელიც პარლამენტში ყველაზე ოპოზიციურის წოდებაზე პრეტენდენტობს, მსუბუქად რომ ვთქვათ, საეჭვო მდგომარეობაში აღმოჩნდა. მრავალრიცხოვან შესვენებებზე, რომელიც არ დაუნანია საზრიან სპიკერს, „სახალხოს“ საბოლოოდ თავისი სახის შენარჩუნების საშუალება მიეცა – უკეთესი დროისათვის გადაიდო კენჭისყრა სადაო საკითხზე. თუმცა, წარმოდგენილი სამი ვარიანტიდან მხოლოდ ორს განიხილავენ – პირდაპირ არჩევნებს, როგორც უკვე ითქვა, კენჭი არ ეყრება.

საინტერესო მხოლოდ ისაა, რამ შეანარჩუნებინა სხდომის ბოლომდე სპიკერს გაწონასწორებული სულიერი მდგომარეობა. იგი შემდეგი კენჭისყრისთვის, ალბათ, უმრავლესობის ისეთი მობილიზების იმედზეა, როცა საერთოდ აღარ იქნება დამოკიდებული „სახალხოს“ ხმებზე, ან...

სწორედ ეს „ან“ იწვევს უდიდეს ინტერესს. (პრაიმ-ნიუსი)

## „ბესარიონ გუგუშვილი პირველი მემატიანეა, რომელიც ამბობს, რომ ზ.გამსახურდიამ თავი მოიკლა“

განაცხადა სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა გ.კერვალიშვილმა პრეს-კონფერენციაზე. მან დეზინფორმაცია უწოდა საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებულ ცნობას იმის შესახებ, თითქოს ზ.გამსახურდიამ თავი მოიკლა. ასოციაციის პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ბ.გუგუშვილის ამგვარი განცხადებები დღევანდელი ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. გ.კერვალიშვილი აღნიშნული საკითხის საბოლოო გადასაწყვეტად ექსპერტიზის ჩატარებას მოითხოვს. (იფრინდა)

## რა უნდა გაკეთდეს საქართველოსთვის შიდა ქართლის გადასარჩენად

5

## ელცინი სინანულს გამოთქვამს

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა სინანული გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მოსკოვის 850-ე წლისთავთან დაკავშირებით დაგეგმილ სადღესასწაულო ღონისძიებებში მონაწილეობას არ მიიღებს.

ჟურნალისტების კითხვაზე, ხომ არ არის შევარდნაძის უარი დაკავშირებული რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორის ანდრეი ნიკოლაევის განცხადებასთან, რომელიც რუსეთ-საქართველოს საზღვარზე შექმნილ სიტუაციას შეეხება, პრეზიდენტ ელცინის პრესმდივანმა, სერგეი იასტრჟემბსკიმ განაცხადა, რომ „არის სხვა მიზეზებიც, რომლებიც ქართულმა მხარემ უკვე გვაცნობა. იასტრჟემბსკის თქმით, ბორის ელცინი შევარდნაძის უარს გაგებით შეხვდა და იმედი გამოთქვა, რომ მათი შეხვედრა უახლოეს მომავალში შედგება. (გეა)

## ციტატა

„თუ ქვეყნის ყოვლისშემძლე შეუზღუდავი პრეზიდენტი ამავე დროს რომელიმე პარტიის ლიდერია და ეს პარტია, რაღა თქმა უნდა, მმართველია – ეს განქნებული ტოტალიტარიზმია“.

**ჯაბა იოსელიანი**

„თუ ხელისუფლებამ დღეს კურსი არ შეცვალა, რაც ნაკლებ სავარაუდოა, დარწმუნებით ვიტყვი, რომ უახლოეს თვეებში მოკვეთილი ტერიტორიები იურიდიულად დაუკანონდება დამპყრობელს. მახსენდება, 1992 წელს სააგენტო „იბერიას“ კორესპონდენტის კითხვაზე – თუ საით მიდის საქართველოს ხელისუფლება, ანუ საით მიჰყავს საქართველო, ვუპასუხე რომ უკვე დაიწყო მზადება ჩვენი ქვეყნის მესამე და საბოლოო ანექსიისათვის–მეთქი. მაშინ ლამის ჯვარზე მაცვეს ამ ნათქვამისათვის. ვთვლი, რომ საქართველომ უკვე „წარმატებით“ გაიარა მოსამზადებელი პერიოდი“.

**გერმანე ფაცაცია**

„საქართველოში ქოლერის ვიბრიონის გავრცელებას „მასიური აფეთქება“ არ მოჰყოლია, მაგრამ ცალკეული შემთხვევები დაფიქსირებულია. თუ ხალხმა ჭამის წინ ხელების დაბანა არ ისწავლა და არ გადაეჩვია გაურეცხავი ხილის ჭამას, არც ვაქცინაცია და არც წყალსადენების დასუფთავება არ უშველის“.

**პაატა იმნაძე,**
**საზოგადოების ჯანდაცვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექტორი**

„თუ პოლიციელები ჩვენს გასახლებას შეეცდებიან, მათი უწყების ხელმძღვანელები დაკარგავენ თავის რბილ სავარძლებს“.

**ირინა სარიშვილი-ჭანტურია**

„დღეს პოლიტიკოსი, რომელიც ვერ მიხვდება, რომ სნგ შექმნილია დასავლეთიდან და არა რუსეთიდან, ის პოლიტიკოსი არ არის. ეს მოიგონეს რუსეთის დასაუძლურებლად დასავლეთის იმ ძალებმა, რომლებმაც ჩეჩნეთი წაართვეს რუსეთს, იმავე ძალებმა აფხაზეთი წაართვეს საქართველოს, ოღონდ არა რუსეთისთვის. ამიტომ რუსეთის პოლიტიკა დიდი ხანია უკვე დამოუკიდებელი არ არის. ამიტომ, თუ რუსეთთან ურთიერთობა არ მოვაგვარეთ, ჩვენ განწირულები ვართ“.

**ვახტანგ გოგუაძე**

# კომისარიატების კორუმპირებულ ჩინოვნიკებს კონკურენციას ვერ გაუწევს სახელმწიფო



გუშინ გაერთიანებულმა რესპუბლიკურმა პარტიამ გამართა პრეს-კონფერენცია, რომელიც პარლამენტის საშემოდგომო სესიაზე გამოტანილი კანონპროექტების განხილვას მიეძღვნა.

პარტიის თავმჯდომარემ ნოდარ ნათაძემ ჩამოაყალიბა ის შენიშვნები, რაც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და „სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონპროექტების მიმართ გააჩნია.

მან ხაზი გაუსვა ზოგიერთი მუხლის არამართებულობას, კერძოდ, მუხლი 5.3.2 „კრძალავს მოწოდებას სამამულო ომისაკენ“, უნდა იყოს: „ომის პროპაგანდას ისეთი ინტერესების გამო, რომელიც არაა სახელმწიფოს ფუნდამენტური ინტერესი“. მუხლი 3.პ.ე მოითხოვს პარტიის საქმიანობის საჯაროობას, რაც შეიძლება ბოროტად იქნეს გამოყენებული ოპოზიციის მიმართ.

რაც შეეხება „სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონპროექტს, როგორც ნ.ნათაძემ აღნიშნა, მან მხოლოდ რამდენიმე, ყველაზე მთავარი ამოარჩია იმ მრავალრიცხოვანი შენიშვნებიდან, რომელიც მან დააფიქსირა. როგორ შეიძლება უცხო ქვეყნის მოქალაქე დავავალდებულოთ ჩვენს შეიარაღებულ ძალებში სამსახურით. ეს იმიტომ ხომ არ არის, რომ გენერლები და მარშლები მოვიწვიოთ, რომლებიც რუსის ჯარში თავზე საყრელად ჰყავთ, ვითომ ჩვენი თავდაცვის მინისტრი არ გვეყოფა?!

უცხოეთში წასულ თანამემამულეებს კი კომპენსაციის სახით 2500 ლარის გადახდა მოუწევთ (ფულიანი ხალხი). ჯერ ერთი, ჯარიდან განთავისუფლება, არაოფიციალური ხმების მიხედვით, 800-900 ლარის ფარგლებში მერყეობს, ე.ი. კომისარიატების კორუმპირებულ ჩინოვნიკებს კონკურენციას ვერ გაუწევს სახელმწიფო. მეორეც, ნ.ნათაძემ აღნიშნა, რომ ასე იაფად შეფასება იმ მორალური სულისკვეთებისა, რაც სამშობლოს დამცველს უნდა ჰქონდეს, უარყოფითად იმოქმედებს ჯარისკაცებზე.

**ნ.ძველაია**

## ჯაბას შემოქმედებით მუშაობაში ხელს არ უშლიან

„გამოძიების მსვლელობაში ჯაბა იოსელიანზე ფიზიკური ზეწოლა არ ყოფილა. რაც შეეხება მორალურს, მას ყველა პატიმარი განიცდის“, – აღნიშნა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას ჯაბა იოსელიანის საზოგადოებრივმა დამცველმა გელა ნიკოლაიშვილმა.

მისი თქმით, ციხის ადმინისტრაციასა და ბრალდებულს შორის ნორმალური დამოკიდებულებაა. იოსელიანი ბოლო ოთხი თვის განმავლობაში მარტო ზის საკანში, რასაც ბრალდებულის თქმით, აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარე. უარყოფითია ის, რომ ვერავის ელაპარაკება. დადებითი მომენტებიდან იოსელიანმა აღნიშნა ის, რომ შემოქმედებითი მუშაობის დროს მას ხელს არავინ უშლის.

გელა ნიკოლაიშვილის თქმით, საკანი, რომელშიც ჯაბა იოსელიანი ზის, საკმაოდ ვიწროა, ცუდად ნათდება, რის გამოც ბრალდებულს მხედველობა დაუქვეითდა. ადვოკატის თქმით, ეს არ ნიშნავს იმას, რომ იოსელიანი დანარჩენ პატიმრებზე უარეს მდგომარეობაში იმყოფება. (გეა)

## მისი წიგნი მალე გამოქვეყნდება

უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება ჯაბა იოსელიანის წიგნი „სამი განზომილება“, რომელშიც დეტალურადაა ასახული საქართველოში ბოლო წლებში მიმდინარე მოვლენები.

როგორც ცნობილი გახდა, გამოქვეყნებამდე ნაწარმოები გაგრძელებებით შესაძლოა პრესაშიც გამოქვეყნდეს, რაც უშუალოდ ავტორის სურვილზეა დამოკიდებული. (გეა)

## რჩეულიშვილმა გვერდიდან შეხედა საკუთარ თავს

პრესლოჟაში განლაგებულ დეპუტატთა შორის ფრაქცია „ამომრჩეველი საქართველოს რეგიონები“-ს თავმჯდომარე, ვახტანგ რჩეულიშვილი სხდომის მუშაობაში საკმაოდ აქტიურ მონაწილეობას იღებდა. მიუხედავად ამისა, ფრაქცია „სახალხოს“ მის მიმართ შეკითხვები მაინც გაუჩნდა: მამუკა გიორგაძე დაინტერესდა, თუ რომელ გაზეთს წარმოადგენდა რჩეულიშვილი პრესლოჟაში.

„ჟურნალისტის ამპლუაში მშვენივრად ვგრძნობ თავს“ – განუცხადა გეა-ს კორესპონდენტს ვახტანგ რჩეულიშვილმა. მისი თქმით, იგი თავის დროზე თურმე ჟურნალისტობდა. 1987 წელს მან ინტერვიუ ჩამოართვა საბჭოთა კავშირის ელჩს ამერიკაში, რომელიც რჩეულიშვილისვე განმარტებით, კამათი უფრო იყო, ვიდრე ინტერვიუ. სსრკ-ს ელჩთან მიღებული ნათლობის შემდეგ, რჩეულიშვილმა თავისი ჟურნალისტური ჟინი გაეროს გენერალური მდივნის ორ მოადგილესთან დაიკმაყოფილა. გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას რჩეულიშვილმა სიამაყის გრძნობით განაცხადა, რომ ინტერვიუ ტელევიზიითაც უჩვენეს.

რჩეულიშვილი თვლის, რომ მას საკმაოდ მდიდარი ჟურნალისტური პრაქტიკა აქვს და მისთვის ძალიან სასიამოვნო იყო კოლეგებთან ყოფნა, მითუმეტეს, რომ მისივე განცხადებით, სწორედ ჟურნალისტური მოღვაწეობისას გადაწყვიტა მან პოლიტიკოსი გამხდარიყო.

გეა-ს კითხვაზე, თუ როგორია პრესლოჟიდან დანახული პარლამენტი, რჩეულიშვილმა აღნიშნა, რომ მშვენივრად დაინახა პულტებით მანიპულირების პროცესი. „პოლიტიკოსს ყოველთვის უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ გვერდიდან შეხედოს საკუთარ თავს. ჟურნალისტური თვალით დანახული პარლამენტი ჩემთვის სულ სხვა პარლამენტია, ვიდრე მაშინ, როდესაც დეპუტატები ერთ წვენში ვიხარშებით“ – აღნიშნა სოციალისტთა ლიდერმა და დასძინა, რომ კარგი იქნება, თუ დეპუტატები ხშირად ივლიან პრესლოჟაში. (გეა)

## ტყუილად გვინერვიულია

„ეროვნული ზარაფხანა ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი დაქვეითებული ორგანიზაციაა, რომელიც ერთი წლის წინ თბილისის საიუველირო ქარხნის ბაზაზე შეიქმნა. ბოლო ორი თვის განმავლობაში ქარხანას არ უმუშავია და საწყობი, რომელშიც ოქროს ლითონების შემცველი ნარჩენები ინახებოდა, დალუქული იყო“ – განაცხადა „იფრინდა“-ს კორესპონდენტთან საუბარში ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა. მისი თქმით, საწყობის სეიფებში არსებული ოქროს ლითონების შემცველ ნარჩენებში ოქროს შემცველობა დაბალი იყო. ლითონები გამტაცებლებისათვის გამოუსადეგარია, რადგან იგი მაღალტექნოლოგიურ ქარხნებში გადამუშავებას მოითხოვს.

ზარაფხანის ინვენტარიზაციას აწარმოებს ფინანსთა სამინისტრო, ეროვნული ბანკისა და სასინჯი ზედამხედველობის ინსპექციის წარმომადგენლები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მიმდინარეობს შს, ფინანსთა და უშიშროების მინისტრების ყოველდღიური კონსულტაციები.

წყაროს თქმით, გამტაცებლების მიერ წაღებულია ისეთი სპეციფიური მასალა, რომლის გამოყენება ჩვენს პირობებში პრაქტიკულად მათ არ შეუძლიათ. მისივე თქმით, პრესაში გავრცელებული ინფორმაცია, რომ საქართველოში მოხდა წლის ქურდობა, ცოტა არ იყოს, გაზვიადებულია. მან აქვე დასძინა, რომ არც იმის თქმაა მართებული, თითქოს ქვეყანაში არსებული ოქროს რეზერვი დაუცველია. წყაროს განმარტებით, სახელმწიფოში არსებული ოქროს რეზერვი განსაზღვრული რეჟიმით ეროვნულ ბანკში ინახება. (იფრინდა)

## მშობლები „დედოვშჩინაზე“ ჩივიან

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში მრავალი წერილია შესული ჯარისკაცთა მშობლებისაგან, რომლებიც ყურადღებას ძირითადად თავდაცვის სამინისტროს ზოგიერთ ნაწილში მათი შვილებისადმი მოპყრობაზე ამახვილებენ. ამის შესახებ „იფრინდა“-ს კორესპონდენტს პარლამენტის ეროვნული უშიშროების ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ გია ჯაყელმა განუცხადა. სამხედრო ნაწილების დასახელებისაგან გ.ჯაყელმა თავი შეიკავა იმ მიზეზით, რომ მიმდინარეობს მოკვლევა. მისი თქმით, წერილებში ძირითადი ყურადღება „დედოვშჩინას“ კუთხურ გამოვლინებებს ეთმობა. შიმშილის გამო ჯარისკაცთა ნაწილიდან გაქცევის შემთხვევები ცოტაა. აღნიშნული ვითარება, გ.ჯაყელის თქმით, სამხედრო ნაწილებში უმცირეს ოფიცერთა შემადგენლობის ნაკლებობით არის გამოწვეული. (იფრინდა)

## პარტიზანულ მოძრაობას სახელმწიფო დონეზე უწევენ ანგარიშს

აფხაზეთში პარტიზანული მოძრაობის გააქტიურებას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზ.ჟვანიამ ძალზე მნიშვნელოვანი გარემოება უწოდა და აღნიშნა, რომ იმის მიუხედავად, მოგვწონს თუ არა ეს და როგორ ვართ განწყობილნი საერთოდ ძალადობის მიმართ, ფაქტია, რომ დევნილთა დიდი მასა, რომელთაც სრულიად, ან თითქმის დაკარგული აქვთ დღევანდელი ხელისუფლების ნდობა, თვლის, რომ სამი წლის სამშვიდობო პოლიტიკა არაფერს იძლევა.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, საქართველოს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ ვლ.არძინბასთან შეხვედრისას საგანგებოდ გაუსვა ხაზი პარტიზანულ მოძრაობას და განაცხადა, რომ წარმოუდგენელია ვინმემ იფიქროს, თითქოს შესაძლებელია ამ მოძრაობის შეჩერება მანამ, სანამ არ მოგვარდება დევნილთა მასობრივი და ორგანიზებული დაბრუნების საკითხი. ზ.ჟვანიას აზრით, ეს გარემოება ყოველ მიზეზგარეშე იქნება გათვალისწინებული აღნიშნულ საკითხზე პარლამენტის შემდგომი მუშაობისას. (იფრინდა)

## „მოქალაქეებს განხეთქილება არ ემუქრებათ“

„მე, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, ვფლობ პარლამენტში მიმდინარე პროცესებს და თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ორი წამყვანი ფრაქციის მსგავსად მოქალაქეებს განხეთქილება არ ემუქრებათ. თუმცა, კეთილისმყოფელნი არ იშურებდნენ პროგნოზებს ფრაქციის დაშლის თაობაზე“ – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ ზ.ჟვანიამ ქარვასლის პრეს-კლუბში ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე.

ფრაქცია „აღორძინებაში“ მომხდარ განხეთქილებასთან დაკავშირებით კი, ზ.ჟვანიას აზრით, არაკეთილსინდისიერი განცხადებაა, თითქოს მოქალაქეებმა დაშალეს ფრაქცია „აღორძინება“. „ე.სურმანიძესთან ვმეგობრობ. ის ნიჭიერი კაცია და მე დარწმუნებული ვარ, რომ უსათუოდ იტყვის თავის სიტყვას ქართულ პოლიტიკაში“ – დასძინა პარლამენტის თავმჯდომარემ. (იფრინდა)

# სახელმწიფო მეწველი ძროხა არ არის, მაგრამ არც ბერწი უნდა იყოს

## ისევ თემაზე: „ჩემი სახლი ჩემი ციხე-სიმაგრეა“

გაზეთ „საქართველოს“ 16 ივნისის ნომერში დაიბეჭდა სტატია სათაურით: „ქართული არმია 5 წელია ვერ შევქმენით, სამაგიეროდ ხელოვნურად ვქმნით უსახლკაროთა არმიას“. პრობლემა, რომელიც ამ წერილშია განხილული, დღესაც აწუხებს მრავალ ადამიანს. ისევ მოდიან ადამიანები, რომელთაც წლობით ნაცხოვრები სახლებიდან გამოსახლება ემუქრებათ. არავინ არის მათი შემწე, რადგანაც ყველა ჯგუფი ადამიანებისა, ვისთანაც ამ გაჭირვებულ ხალხს უხდება ურთიერთობა, უპირველესად თავის ინტერესებზე ზრუნავს. ამგვარად, შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ასეთი ჯგუფი:

მეპატრონე, რომელმაც ახალი კანონმდებლობის საფუძველზე შეისყიდა მათი ბინა – მას უხარია, რომ ხელსაყრელი გარიგება ჩაატარა. მან ქონება შეიძინა და არ აინტერესებს, რა ბედი ეწევა იქ მცხოვრებ ხალხს. მისთვის მთავარია, ეს ფაქტი დაიკანონოს და სულაც არ აწუხებს რომელი და როგორი კანონის საფუძველზე მოხდება ეს.

აღმასრულებელი – ის ბრძანებას ასრულებს, ევალება გარკვეული ინსტანციის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა. ოჯახი აქვს, შვილები ჰყავს, მათ კი რჩენა უნდათ. ვისაც გინდა, იმას გამოასახლებს. გულში შეიძლება თანაუგრძნობდეს კიდევაც, მაგრამ არავის გულისთვის არ დაუშვებს, რომ თავისი შვილები ლუკმა-პურის გარეშე დარჩნენ.

სასამართლო – მის წინაშე ორი მოდავე მხარე დგას. ერთს გაამართლებ, მეორე გაცოდებს თავს და უფრო მაღალ ინსტანციაში ჩივის, და – პირიქით, მეორის გამართლების შემთხვევაში. კაცმა რომ თქვას, ხსენებული პრობლემა მისთვის ძალზე აბსტრაქტულია. და საერთოდ, (ბოდიშს მოგიხდით) სულ ერთ ფეხზე ჰკიდია, ვინ სად იცხოვრებს (მერედა რა არასასიამოვნოდ გამოიყურება მომჩივანი, მით უმეტეს სასამართლოს ჩინოვნიკის თვალში).

სახელმწიფო – მისთვის კიდევ უფრო აბსტრაქტულია იმ კონკრეტული ხალხის სატკივარი. თავისი „გაჭირვებაც“ ეყოფა, ამხელა დანგრეული ქვეყანა ჰყავს სამართავი (ჩვენ დავუნგრიეთ ალბათ და ჩვენ შევეხვეწეთ, თქვენი ჭირიმე, ოღონდაც თქვენ მოდით ხელისუფლებაშიო). მისთვის ხალხი მხოლოდ მილიონობით და ათასებით იზომება, ერთი ადამიანისათვის დროის დაკარგვა ძნელია.

დაბოლოს, თვით დაზარალებული – მან ერთ დროს გაჭირვებით შეაგროვა ფული, ისე იყიდა ბინა, როგორც მაშინდელი კანონი აძლევდა ამის საშუალებას. არც არავინ დაუტოვებია ქუჩაში და დამშვიდებულმა იგრძნო თავი ჭერქვეშ. ჰოდა, ერთი უაზრო ხდომილების გამო (ჩამოაგდე პეტრე და დააყენეს პავლე), ოცდაათი წლის შემდეგ ქუჩაში უწევს დარჩენა. არც იმ ფულს არავინ უბრუნებს და ყველაფერი საკმაოდ დინამიურად მიმდინარეობს.

ის, რომ ყველა დანარჩენმა ამ უკანასკნელის თვალით უნდა შეხედოს მოვლენას, ტრივიალური ადამიანური მოვალეობიდან გამომდინარეობს. განსაკუთრებით კანონმდებელს ეხება ეს, რათა საფუძველშივე იყოს თავიდან აცილებული ორაზროვნება კანონის გაგებაში. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ კარზეა მომდგარი ამ საკითხების დამარეგულირებელი კანონის საპარლამენტო განხილვა და ე მანდ ისე არ მოხდეს, რომ ერთ დღეში გაფუჭებულმა საქმემ წლობით აწვალოს უდანაშაულო ხალხი.

არსებობს კი ამის საფუძველი? ვშიშობ, რომ არსებობს. ზემოთ ნახსენებ წერილში საპარლამენტო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის მიერ შემუშავებული ახალი სამოქალაქო კოდექსის პროექტის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის – ნინო ბურჯანაძის ნათქვამია მოყვანილი: საქმე რომ მძიმე კონფლიქტებამდე არ მივიდეს, ვეცდებით კანონი გაზაფხულის სესიაზევე მივიღოთო. ეს, როგორც იცით, არ მოხდა. რა შეიძლება მომხდარიყო იმ დროს, როდესაც კანონმდებლები სესიებს შორის პერიოდში ძალების აღდგენაზე შრომობდნენ, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. მერედა ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ვალის ასაღებად მისული გამწარებული მევალე ყაჩაღობის ან გამოძალვის ბრალდებით დაუკავებიათ?

ხსენებულ წერილში ჯანრი კაშიას ფრაზაც არის მოყვანილი, რომ სახელმწიფომ უდიდესი ჰუმანური აქტი განახორციელა, როცა ხალხს უსასყიდლოდ დაუკანონა ბინები საკუთრებაში. ხედავთ? ეს სახელმწიფო არ იყო, საშენ მასალებს რომ უზიდავდა ხალხს, ნათესავებში ფულს რომ სესხულობდა ამ ხალხისთვის, ყაჩაღების, მილიციისა და აფერისტებისაგან რომ იცავს? საიდან, რაში ეკუთვნის ხალხის წვალებით აშენებული ბინები? რა მემკვიდრეობა მიიღო ასეთი?

ჰოდა, გამორიცხულია, რომ თვით სახელმწიფო მოხელეები უფრო მეტ უფლებებს მიაწერდნენ თავის თავს? და სადავო არც კი არის, რომ ეგ აზრი ძალზე საშიშია?

ქალბატონი ნინო კანონის ფორმულირების სახელმძღვანელო პრინციპს გვთავაზობს: „ჩვენ ვცდილობთ რაღაც კომპრომისეული ვარიანტი მოვძებნოთ. ვთქვათ, ავტომატურად არ დავუსაკუთროთ ამ პირებს ბინა და მესაკუთრის უფლება არ შევზღუდოთ“. ამაში იგი ცამდე მართალია, კანონში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული არა ფორმალური, არამედ ფაქტიური უფლება ბინებზე, რომელიც ამ პირებს ჰქონდათ. როგორც მართებულად იყო შენიშნული, მათ ხომ ფაქტიურად იყიდეს ეს ბინები და ისევე გადაიხადეს ეს ფული, როგორც დღეს სხვები იხდიან. მათ უნდა დაუკანონდეთ ის უფლებები, რა უფლებებიც ფაქტიურად ჰქონდათ, თორემ ძალიან დიდი ტრაგედიის წინაშე დგება პიროვნება, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს მხოლოდ იმიტომ ჰკარგავს ბინას, რომ ტელევიზორში რაღაც განცხადება გადმოსცეს. ასეთი შეცდომები უკვე იყო დაშვებული და ახლის დაშვება დიდი უგუნურება იქნებოდა. იმ შეცდომების გამოსწორება კიდევ ახალ შეცდომებს მოიტანს. ჩვენ დღეს მცხოვრები ხალხის ინტერესებიდან უნდა ამოვიდეთ, თორემ ვინც იგივე დარტყმა ადრე მიიღო, ის უკვე კაი ხანია სულ სხვა სამყაროშია და მეეჭვება, ბინის პრობლემა აწუხებდეს.

კიდევ ერთი საკითხი: როგორც ვიცით, თეორიულად სახელმწიფო არ ნიშნავს მხოლოდ მმართველ სტრუქტურას. ამ ცნებაში ერთიანდება როგორც მმართველი, ისე დანარჩენი ხალხი და საერთოდ, სახელმწიფოს არსებობა მხოლოდ და მხოლოდ იმით არის გამართლებული, რომ ხალხის ცხოვრების უკეთესად მოწყობა ევალება და არა იმით, რომ ეს დებულება დემაგოგიის საფუძვლად გამოიყენოს მხოლოდ.

ამით იმისი თქმა გვინდა, რომ ჩვენთან ტერმინი „სახელმწიფო“ ხალხში მხოლოდ მისი მმართველი წრის აღსანიშნავად გამოიყენება. ჩვენც ამ გაგებით ვიხმარეთ ეს ცნება, შესაბამისი საგნის უკეთესად აღნიშვნის მიზნით.

გულსატკენია, როცა ხედავ, რომ ამერიკელი თავისი პრეზიდენტის გამოსვლას გულაჩუყებული უყურებს. როცა სახელმწიფო თავისი ერთი მოქალაქის გულისთვის ომს იწყებს. ჩვენი მოქალაქე კი ყველაზე ადვილი დასაჩაგრია როგორც აქ, ისე – „იქ“.

***P.S.** განხილულ პრობლემასთან დაკავშირებით დავამატებთ: ამ დღეებში მთაწმინდის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება ვნახეთ ერთ მსგავს საქმეზე. სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩით. საკითხი მართლაც ისე იყო გადაჭრილი, რომ ორივე მხარის ინტერესები გათვალისწინებული ჰქონდათ. რა ელის ამ საქმეს კიდევ ხელახალი გასაჩივრების შემდეგ, არავინ იცის, მაგრამ ეს ფაქტი ნამდვილად აღსანიშნავია.*

**პაატა მანჟულაშვილი**

# ყოველი ჩეჩენი სამშობლოს შეწირული კაცია



1991 წლის 6 სექტემბერს ჩეჩენი ერის სრულიად ეროვნულმა კონგრესმა, რომლის არჩევაში ჩეჩნეთის მოსახლეობის 93,9% მონაწილეობდა, ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. იმავე წლის 27 ოქტომბერს ჩეჩენმა ერმა აირჩია ქვეყნის პრეზიდენტად ჯოჰარ დუდაევი. 1992 წლის 12 მარტს ჩეჩნეთმა მიიღო თავისი კონსტიტუცია. 1992 წლის 26 მაისს ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიამ რუსეთთან ხელი მოაწერა სამთავრობო საერთაშორისო ხელშეკრულებას, ჩეჩნეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანაზე და შეიარაღების გაყოფაზე. იმავე წლის 7 ივლისს რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა დატოვეს ჩეჩნეთის ტერიტორია, რაც ჩეჩნეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებას ნიშნავდა.

ჩეჩნეთის ომით დაგეგმილი იყო არა მარტო იჩქერიის ხალხის, არამედ ქვეყნის მთელი ფლორისა და ფაუნის ისტორიული ლანდშაფტის, თვით იმ მიწის ტოტალური გენოციდი, რომელზეც ჩვენი ხალხი ორი ათასი წელია ცხოვრობს. ამით მომავალ თაობებს ფიქრადაც არ უნდა მოსვლოდათ, რომ ჯოჯოხეთური ცეცხლით გადახრუკულ ამ მიწაზე ადამიანს შეეძლო ცხოვრება, მძიმე ბრძოლა და გამარჯვება. ამ ომის ესქატოლოგიურ ხასიათს XX საუკუნიდან წინა ისტორიულ ჟამთა რეალურ ზმანებაში გადაეყავართ, როცა იბადებოდნენ მთები დედამიწის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მის მიერვე შობილ ურჩხულებთან. ამ ომის გამოცდილებას ალბათ შეისწავლიან, რათა ამოხსნან მცირერიცხოვანი გმირი ჩეჩენი ხალხის და მისი მხედართმთავრის ჯოჰარ დუდაევის, შეიარაღებული ძალების სარდლების, მასხადოვის, და მათი ჯარის ნაწილების წინამძღოლების ბრწყინვალე სამხედრო ნიჭი, რომლებმაც მსოფლიო ისტორიაში უპრეცედენტო წინააღმდეგობა გაუწიეს აგრესორ რუსეთის ოთხასორმოცდაათიათასიან ურჩხულს, რომელმაც ამ მცირე ერის წინააღმდეგ გამოიყენა მასობრივი მოსპობის ყველა საშუალება, გარდა ატომური იარაღისა და გამარჯვება მოიპოვა.

რუსეთის ჯარი ხომ ყველაფერს იყენებდა – უახლოესი მოდიფიკაციის, მაქსიმალური სიძლიერის და დამანგრეველი ეფექტის მქონე ჭურვები და რაკეტები, საერთაშორისო კონვენციებით აკრძალული შეიარაღების სახეობები, ქიმიური ბურთულებიანი და ნემსებიანი ჭურვები, ქიმიური და ბიოლოგიური დამაზიანებელი ნივთიერებებით გამართული კასეტური ტიპის ჭურვები. (ასეთი შემთხვევა 1996 წელს 102 აღირიცხა).

რუსეთი ამ უსამართლო ომმა მიიყვანა დანაშაულებრივი ოლიგარქიის ყოვლად საზარელ ფორმამდე, რომლის მსგავსი არ ყოფილა არასოდეს, რომლიდანაც პირდაპირ გზაა გადაგვარებისაკენ, ბარბაროსობის და გაველურებისაკენ.

ჩეჩნეთის მიერ რუსეთის არმიის დამარცხების შემდეგ ეს რესპუბლიკა არის ფაქტიურად დამოუკიდებელი. მოსკოვში ოფიციალური პირები მსჯელობენ ჩეჩნეთის რეგიონის მომავლის შესახებ. ყველა სახელმწიფო მოღვაწე გაიძახის, რომ ჩეჩნეთი არასოდეს იქნება დამოუკიდებელი, მაგრამ ეს ლაპარაკი ჩეჩნებზე უკვე აღარ მოქმედებს. ჩეჩნებმა იციან, რომ რუსეთი 2000 წლამდე იძულებული გახდება აღიაროს ჩეჩნეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

დეკოლონიზაცია, როგორც მოძრაობა ნებისმიერი ქვეშევრდომის წინააღმდეგ, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი პროცესია, ამ კონტექსტში სსრ კავშირის დაშლა და მის შედეგად ჩეჩნეთის საქმე უნდა განვიხილოთ როგორც მსხვილი სტრუქტურების რღვევის ფართო პროცესის დასაწყისი, და მაინც რატომ არ ძალუძს ამ მსხვილ სტრუქტურებს გარდაიქმნან ისე, როგორც

გაგრძელება მე-4 გვ.

# პროგნოზი

## დიაგნოზის საფუძველზე

დარიალის ხეობაში ასეული ტონობით სპირტი დგას. რუსეთი უკანონოდ აჩერებს მას საზღვარზე და ვიღაცის ჯიბეს მილიონობით დოლარით ალარიბებს. ვისას? ცხადია, არა საქართველოსას ან არა მხოლოდ საქართველოსას, არამედ იმ ქართველებისას, ვინც საქართველოს სათავეშია და ყველაფერში „წილი“ უდევს. ეს – დიაგნოზი.

ახლა პროგნოზი ვნახოთ. რას მოითხოვს რუსეთის ხელისუფლება საქართველოს ხელისუფლებისაგან იმ სპირტის გატარების ფასად? მილიონებს? არა. იგი მოითხოვს დათმობებს არა ჯიბის ხარჯზე, არამედ საქართველოს ხარჯზე (მაგალითად, საზღვრის გადმოწევას ცოტა აქეთ და ა.შ.). საქართველოს ხელისუფლება დათმობს. რატომ? (ცხადია, რატომ). ეს – პროგნოზი.

რატომ გაიმარჯვებს ჯიბისა და სამშობლოს ამ შერკინებაში რუსეთის ხელისუფლება და არა საქართველოსი? იმიტომ, რომ ჯიბის დიდი სიყვარულის მიუხედავად, რუსეთის ხელისუფლებას რუსეთი უფრო უყვარს, ვიდრე საქართველოს ხელისუფლებას – საქართველო (დღემდე რუსეთის ხელისუფლებას რუსეთის ინტერესები არსად არ გაუჩუქებია). ესეც – დიაგნოზი და პროგნოზი ერთად!

# რუსეთი უგულვებელყოფს საერთაშორისო ვალდებულებებს

რუსეთ-საქართველოს საზღვარზე შექმნილი ვითარების, ასევე სპირტის ტრანზიტთან ატეხილი აჟიოტაჟის გამო საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ სასაზღვრო რეჟიმის ცალმხრივი შეცვლა მეორე მხარესთან ოფიციალური შეთანხმების გარეშე და სარფის საბაჟოდან ისევ რუსი მესაზღვრეების მიერ გაშვებული ტვირთების საქართველოს ტერიტორიაზე კონტრაბანდად გამოცხადება, საერთაშორისო იურიდიული ნორმების უხეში დარღვევაა. მითუმეტეს, რომ ამის არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

თუ გენერალ ნიკოლაევის განცხადებას დავეყრდნობით, რუსეთის ფედერაციის საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ამ პოზიციას მხარს უჭერს რუსეთის პრეზიდენტი და მთავრობა. ამ შემთხვევაში „საქართველოს სრული უფლება აქვს განაცხადოს, რომ რუსეთი დაუფარავად არღვევს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელმოწერილი ხელშეკრულების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მუხლს, რომელიც განსაზღვრავს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ძირითად პრინციპებს მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის სფეროში“ – ნათქვამია განცხადებაში. ამავე განცხადებაში შექმნილი ვითარება შეფასებულია როგორც რუსეთის მიერ საერთაშორისო ვალდებულებათა უგულებელყოფა. მით უმეტეს, რომ ყოველივე ეს რუსეთის ხელისუფლების მაღალი ეშელონების დუმილის ფონზე ვითარდება.

ამასთან დაკავშირებით თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი უფლებამოსილია განაცხადოს: თუ მომავალში არ აღიკვეთება და რეაგირების გარეშე დარჩება ცალკეული უწყებების ხელმძღვანელთა მტრული გამოხდომები საქართველოს წინააღმდეგ და ორმხრივი ურთიერთობები კვლავ საეჭვო ორიენტაციის პოლიტიკური ძალების ქვეშ მოექცევა, ამ შემთხვევაში საქართველოში განმტკიცდება აზრი, რომ საქმე გვაქვს არა ცალკეულ „ურჩ“ ხელმძღვანელთა თვითნებობასთან, არამედ ოფიციალური ხელისუფლების მიერ გააზრებულ და დაგეგმილ ქმედებასთან. (გეა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყოველი ჩეჩენი სამშობლოს შეწირული კაცია

მესამე გვერდიდან

მეფის რუსეთი იქცა სსრ კავშირად? უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები მსოფლიოს მიერ უკვე აღიარებულნი არიან, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ჩეჩნეთის ტრაგედია ნათლად მოწმობს, რომ ძალის ნებისმიერი გამოყენება არ შეიძლება შეუმჩნევლად დარჩეს საერთაშორისო თანამეგობრობისათვის. მართალია, ეს თანამეგობრობა არც ისე ყოვლადშემძლეა, ხშირად არავითარ პრაქტიკულ ზომებს არ მიმართავს, მაგრამ ის მაინც აცხადებს, რა არის სწორი, რა არ არის დასაშვები.

იმპერიული რუსეთის პოლიტიკა ნათელია მთელი მსოფლიოსათვის, ის შეპყრობილი ჰყავს ცდუნებას, რომ თავი დაიმკვიდროს სხვათა დაშინების გზით. მათ სულაც არ სცხვენიათ მათი იმპერიული წარმოშობისა და წარმომავლობის გამო. როდესაც იმპერიული რუსეთი ისეთ ფართომასშტაბიან შეტევას ახორციელებდა ჩეჩნეთის კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელმაც დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ სსრ კავშირის დაშლამდე სამი თვით ადრე გამოაცხადა.

მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები თვალს ხუჭავდნენ ჩეჩნეთში მიმდინარე ბარბაროსულ ომზე. ამაზე ნათლად მეტყველებს მსოფლიოში ცნობილი პოლიტოლოგის ზბიგნევ ბჟეზინსკის სტატია, რომელიც გასულ წელს ამერიკის გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში" დაიბეჭდა. მომყავს ციტატა სტატიიდან: „ჩეჩნეთი კინაღამ იქცა აშშ-ის მორალურ რეპუტაციის სამარედ".

როცა უმწეო ჩეჩნებს მუსრი გაავლეს თავისუფლებისაკენ მათი სწრაფვის გამო, ამერიკა არა მარტო გულგრილი დარჩა, არამედ მისმა ოფიციალურმა წარმომადგენლებმა მხარიც კი აუბეს რუსებს და ამართლებენ მათ. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ჯერ არ მომხდარა მსგავსი რამ, ეს არა მარტო შეცდომაა, არამედ უგუნურობაც. „რეალური პოლიტიკის" თვალსაზრისით „ვაშინგტონ პოსტმა" დაბეჭდა სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობა რომელიღაც მაღალი ჩინის პირის ბრიფინგის შესახებ, სადაც ჩეჩნების მიმართ თითქმის რასისტული ტერმინებია გამოყენებული, და ისინი დადანაშაულებულნი არიან შუღლის ჩამოგდებასა და დაუსრულებელი ტრაგედიის ჩადენაში. ანონიმურმა თანამდებობის პირმა არც მათი ლიდერი, გენერალი ჯოჰარ დუდაევი დაინდო. ჯოჰარ დუდაევი კი ის პიროვნებაა, რომელსაც ესტონელები მადლიერებით იხსენიებენ, როგორც მათ ქვეყანაში განლაგებული საბჭოთა სამხედრო საჰაერო ძალების სარდალს. სსრ კავშირის არსებობის ბოლო თვეებში მან უარი განაცხადა ჩაეხშო ესტონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ზოგიერთ სახელმწიფო მოღვაწეს თუ მაღალი ჩინის პირს არ უნდათ გაიგონ ან იციან და განგებ თვალს ხუჭავენ სინამდვილეზე. რაც არ უნდა ილაპარაკონ დუდაევის სახელმწიფო რეჟიმზე, ყველაფერი ქარწყლდება უტყუარი ფაქტების წინაშე. მან ხომ დამოუკიდებელი სახელმწიფო – ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერია შექმნა. მხოლოდ ძლიერ ერთიან სახელმწიფოებრიობას ძალუძს წინ აღუდგეს აგრესორის ურიცხვ ძალას, რომელიც იჩქერიაზე 250-ჯერ მეტია და თანაც მზადაა ნებისმიერი დანაშაულის ჩადენისათვის, ოღონდ ჩეჩენი ხალხი დაამონოს, მაგრამ დედამიწის ზურგზე არც ერთი ერი არ არსებობს ჩეჩენი ერის დამმონებელი. ერთი ჩეჩენიც რომ დარჩეს დედამიწის ზურგზე, ისიც კი ყველგან და ყოველთვის თავს ჩათვლის თავისუფალი ჩეჩნეთის მოქალაქედ. სწორედ ესაა ჯოჰარ დუდაევის უდიდესი ისტორიული გამარჯვება, რამაც იგი აქცია გმირულ ეპოსის ბედნიერ ეპიკურ გმირად.

რუსეთის ოფიციალურ ვერსიებს ესადაგება ზოგიერთ სახელმწიფო მოღვაწეთა პოლიტიკური ხაზი, რომლის თანახმად მთავარია მართლწესრიგი და რუსეთის მთლიანობის შენარჩუნება. ისინი უბრალოდ სიტყვასაც არ ძრავენ



რუსეთის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულობრივ ქმედებებზე, რაც ჩეჩნეთში მოახდინეს მოსყიდული მკვლელების, შენიღბული, დაქირავებული ჯაშუშების მეშვეობით. უნდათ, რომ დესტაბილიზაციის ფონზე გამოიყენონ ყოველგვარი შესაძლებლობა, ჩეჩენი ერის ერთიმეორის გადაკიდების ხერხით შიგნით მოახდინონ სამოქალაქო ომი და ამით მოხერხებულად გამოიყენონ არსებული რეალობა და თავისი შეიარაღებული ძალები შეიყვანონ ამ სამოქალაქო ომის ეთითმდა ჩასახშობად. იმ პირებს ავიწყდებათ ჩეჩნეთის წარსული ტრაგედია, მათი ხანგრძლივი ბრძოლები დამოუკიდებლობისათვის, რუსეთის მიერ ორმოცდაათი წლის წინათ განხორციელებული ჩეჩენ-ინგუშეთის გენოციდი. არც იმას აღიარებენ, რომ ჩეჩნეთის მოთხოვნა მორალურად ან იურიდიულად კანონიერია.

კავკასიის ხალხის ისტორიული ბედის მრავალფეროვნებისა, სხვადასხვა წარმოშობის მიუხედავად კავკასიის ხალხს გააჩნია კიდევ ერთი საერთო თვისება, რაც განსაკუთრებით ნათლად ჩანს ჩეჩნეთში: ესაა ღრმა შინაგანი შეცნობა იმისა, რომ ის, რაც ხდება, წარმავალია მარადისობის განსახიერებისა. ჩეჩნები ამ დროს აღიქვამენ არა როგორც სწრაფმავალი წუთისოფლის მდგმურნი, არამედ როგორც უსასრულო არსობის მკვიდრნი. სწორედ ამაშია ჩვენი ერის, ჩეჩნების, არნახული გმირობის საიდუმლო. ჩეჩნები მსოფლიოს უძველესი ხალხია, ისინი თავიანთი მრავალათასწლოვანი გენეტიკური მეხსიერებით გრძნობენ ნებისმიერ დამპყრობელთა ამაოებას. რუსეთის პოლიტიკური ძალები ცდილობენ ერთიმეორეს გადაკიდონ დონის კაზაკები და ჩეჩნები ტერიტორიულ საკითხთან დაკავშირებით, რომლის მოგვარებაც ურთიერთმოლაპარაკების გზით ყოველთვის შეიძლება მშვიდობიანად გადაწყდეს. განა ჯოჰარ დუდაევი ტყუილად ამბობდა, რუსიზმი ყველაზე უფრო საშინელი, ყველაზე უფრო ულმობელი ფორმაა ფაშიზმისაო? რუსიზმმა დიდი ხანია, რაც გადააჭარბა ფაშიზმს თავის ანტიადამიანურ გამოვლინებებში. „ველიკო რუსთა" ეს ავადმყოფობა რომ სრულიად ჰქონდეს შეცნობილი, საზღვარგარეთის არც ერთი ქვეყანა არ გაუღებდა კარს რუსებს. რუსიზმი უცილობლად სატანური წარმომავლობისაა და მისი ფესვების ამოძირკვისათვის მთელმა მსოფლიომ უნდა იბრძოლოს.

ჩეჩნეთში დაღვრილ სისხლზე პასუხს აგებენ იმპერიის მესვეურნი. ვინ არიან ისინი? ეს არაა განყენებული ცნება, ესენი ყოფილი კომუნისტ-შოვინისტებია, დღეს კი გადემოკრატებული „დერჟავნიკები" და მათი ლაქია რენეგატები, ელცინი და მისი პოლიტიკური გარემოცვა სამხედრო და შინაგანი ჯარების გენერლების ჩათვლით, რომლებიც არიან იმპერიულ-დერჟავული სისტემის მიმდევარი პოლიტიკოსები, რომელთა სურვილია შექმნან იმპერიული დერჟავული სისტემა „ახალი წესრიგისა". თვით რუსეთის საინფორმაციო საშუალებათა უმრავლესობა დარწმუნებულია რუსეთის იმპერიის სიდიადეში, მისი რღვევის გარდაუვალობაში. სწორედ ისინი არიან ორგანიზატორები ჩეჩნეთში, ინგუშეთში, ყარაბაღში, აფხაზეთში, სამაჩაბლოში მომხდარი კონფლიქტებისა.

კაცობრიობას ჯერ ვერ აუხსნია და განუმარტავს, თუ როგორ უმკლავდებოდა ეს პატარა ერი უშტას და უმჭას, ის კი არ იციან, რომ ჩეჩნეთი გმირთა სამშობლო მხარეა, რომ ეს ხალხი ამ მხრივ უპირველესია მთელ მსოფლიოში, ხომ არ ცდებოდა ყველა დროის უდიდესი რაინდი ჯოჰარ დუდაევი, როცა ამბობდა, ყოველი ჩეჩენი პოტენციალურად სამშობლოს შეწირული კაცი არისო...

რუსეთის მიერ კავკასიის რესპუბლიკებში მოწყობილი დივერსიული ჯაშუშური ომი იყო თუ არა მთელი კავკასიის მოსახლეობის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი? სახელმწიფო გადატრიალებები, შეიარაღებული პირები, მასობრივი გენოციდები, ტერორი, რეპრესიები, ერების და ხალხების მასობრივი აყრა და გადასახლება მშობლიური ადგილებიდან. ეს არის მსოფლიოს ყველაზე შოვინისტური იმპერიის, რუსეთის თანდაყოლილი თვისება. ეს თვისება იყო და არის რუსული იმპერიის სახელმწიფო პოლიტიკა.

ორწლიანი ქედმოუხრელი სისხლით მოპოვებულ გამარჯვებაში ჩეჩენმა ხალხმა გამოავლინა საარაკო სიმამაცე, ფოლადისებური სიმტკიცე და ვაჟკაცობა – მათ დაამტკიცეს, რომ ერის სიდიდე მის რაოდენობაზე არ არის დამოკიდებული. ამას მეტყველებს ვალერია ნოვოდვორსკაიას რუსეთის დემოკრატიული კავშირის მილოცვა (გაზეთი „იჩქერია" 24.01.1997 წ.). იბეჭდება შემოკლებით. გადმობეჭდილია გაზეთში „ადამიანის უფლებები" (№4 (28) 15–21.02.1997 წ).

„რუსეთის დემოკრატიული კავშირი ულოცავს გმირ ჩეჩენ ხალხს უცხო დამპყრობლებზე გამარჯვებას და მადლობას მოახსენებს ყოველივე იმისათვის, რაც მათ გააკეთეს ამ ომის დროს რუსეთისათვის და კაცობრიობისათვის. კაცობრიობამ გაიგო, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი არ იყიდება და არ დაიპყრობა. რუსი დემოკრატები კი ათეულობით ათასი ჩეჩენის სიცოცხლის ფასად გადაურჩა გარდაუვალ სიკვდილს, რამეთუ მტრის თავდასხმისადმი იჩქერიის სტოიკურმა გამკლავებამ იხსნა რუსეთი კომუნისტურ-ფაშისტური დიქტატურისაგან. თქვენ შური იძიეთ სსრკ-ს მრავალწლიანი ტოტალიტარული მართველობის ჟამს ხალხთა დამონებისათვის, 1968 წელს ტანკების მიერ გადაჯეგილი პრაღისათვის, 1956 წელს ბუდაპეშტის ამბოხების სისხლში ჩახშობისათვის, 1981 წელს პოლონეთის „სოლიდარობის" მიწასთან გასწორებისთვის, 1989 წ. თბილისში დემონსტრანტთა სასანგრე ნიჩბებით დახოცვისათვის, 1990 წელს ბაქოში დახვრეტილთათვის, 1991 წელს ვილნიუსის აქციის მსხვერპლთათვის. ტყვეებისადმი თქვენმა ჰუმანიზმა და კეთილშობილებამ გადააჭარბა ყოველივეს, რაც კი უხილავს კაცობრიობას მისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე.

ჩეჩენმა ხალხმა უზრუნველყო თავისი უკვდავება. რუსეთ-ჩეჩნეთის ომი კი ისტორიაში საბერძნეთ-სპარსეთის ომების გვერდით დაიმკვიდრებს ადგილს. ამასთან ჩეჩნეთმა შეასრულა თავისუფლების მოყვარე საბერძნეთის, რუსეთმა კი სპარსული დესპოტიის როლი. თქვენ შეძელით შეუძლებელი. თქვენი მსხვერპლი არ არის უშედეგო, რამეთუ ადამიანებს უნდა სჯეროდეთ რაღაც იდეალისა. დღეს თქვენ ხართ კაცობრიობის იდეალი, მისი ნატვრა, მისი ჰორიზონტი, მისი იმედი, და შორს არ არის ის დღე, როდესაც ამერიკელები, ინგლისელები, ფრანგები და რუსები მუხლს მოიყრიან ჯოჰარ დუდაევის საფლავთან. რუსეთი ძეგლს დაუდგამს მას. თქვენ კი პატიებას გთხოვთ იმ უდიდესი ბოროტებისათვის, რომელიც მოგაყენეთ".

მიმდინარე წლის 27 იანვარს ჩატარებულმა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებმა ერთხელ კიდევ დაანახა მთელ მსოფლიოს კაცობრიობას თავის ერის ღირსება და ადგილი, და ერთხელ კიდევ აჩვენა საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ იგი ღირსია იყოს დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ვულოცავ ჩემს ჩეჩენ ერს დამოუკიდებლობის გამოცხადების 6 წლისთავს და ვუსურვებ ყოველივე საუკეთესო სურვილებს.

**მახმედ მარგოშვილი**
ახმეტის რაიონი,
სოფელი დუისი ქისტი

---

● პოზიცია

## ირაკლი ბათიაშვილი:

# „ნადიბაიძის წყალობით იარაღი ისევ საქართველოსკენ მობრუნდება"

*„სანამ ვარდიკო ნადიბაიძეს თავდაცვის მინისტრის პოსტი უკავია, აფხაზეთის საკითხი არასაიმედო ხელში იქნება და ნებისმიერი საიდუმლო დავალება, რომელიც მან პრეზიდენტისგან შეიძლება მიიღოს, იმავე წამს ელოდინება რუსეთს, რადგან ნადიბაიძე იყო და დღესაც რჩება ამიერკავკასიის ოლქის მაკონტროლებელი რუსული ჯარის გენერალი" – განაცხადა გუშინ გამართულ ბრიფინგზე დეპუტატმა ირაკლი ბათიაშვილმა.*

მისი თქმით, არაა გამორიცხული დადგეს აფხაზეთის ტერიტორიის ქართული ძალისმიერი სტრუქტურებით გაკონტროლების მომენტი და, ამ შემთხვევაში, ნადიბაიძის წყალობით იარაღი ისევ საქართველოსკენ მობრუნდება. „აფხაზეთს მიტინგებით ვერ დავიბრუნებთ, ეს პოლიტიკური საკითხია, რომელიც ცალსახად უნდა განისაზღვროს და პირველ რიგში ამ პროცესში საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროები უნდა გააქტიურდნენ" – აცხადებს ირაკლი ბათიაშვილი. სახელმწიფოს კურსი კი, ბათიაშვილის თქმით, მკაცრი ეკონომიკური ბლოკადით უნდა განისაზღვროს. ხოლო მაშინ, როცა საქართველო სხვა სახელმწიფოებისგან მოითხოვს აფხაზეთის ეკონომიკურ ბლოკირებას, გაუგებარია, თავად რატომღა იწყებს აქტიურ ეკონომიკურ ურთიერთობას. „ის სახსრები, რომელსაც ჩვენი კაპიტალის შეტანით შეიძენს აფხაზეთი, ისევ საქართველოს წინააღმდეგ იარაღის შესაძენად და „ბოევიკთა" მობილიზებისთვის დაიხარჯება".



ირაკლი ბათიაშვილი ლტოლვილთა დაბრუნების წინააღმდეგია. „სად ვაბრუნებთ ლტოლვილებს?" – კითხულობს იგი – „მაშინ, როცა გალში თითქმის 60 ათასი დევნილია დაბრუნებული, ყველა ხედავს, რა მონურ მდგომარეობაში არიან ისინი ჩავარდნილნი. უფრო მეტიც, დაბრუნებული ლტოლვილები უკვე აფხაზთა არმიაში გაიწვიეს, რათა საბრძოლო მომენტში წინ წაიმძღვარონ აფხაზებმა, როგორც საყუმბარე მასალა".

როგორც ჩანს, უშიშროების ყოფილი მინისტრი, რომელიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ საკმაოდ დეტალურ ინფორმაციას ფლობს, ერთადერთ გამოსავალს ისევ ქართული ძალოვანი სტრუქტურების გაძლიერებაში ხედავს და თუმცა აცხადებს, რომ ომის წინააღმდეგია, რადგან: „ჯერ საქართველო მზად არაა ომისთვის და ხელახლა ბრძოლის წამოწყება მას საბოლოო კრახამდე მიიყვანს", აშკარად ჩანს, რომ აფხაზეთის დაბრუნების ერთადერთ გზას იგი საბრძოლო მოქმედებებში ხედავს. სრულ საომარ მზადყოფნამდე კი ირაკლი ბათიაშვილი ფიქრობს, რომ კონფლიქტის ტერიტორია უნდა გააკონტროლონ ქართულმა ძალოვანმა სტრუქტურებმა.

* * *

*ირაკლი ბათიაშვილი უარს აცხადებს ახალ საპარლამენტო ჯგუფში „მოძრაობა აფხაზეთისათვის" ყოფნაზე და აღნიშნავს, რომ მან საკუთარი ალიანსის შესახებ გიორგაძესა და ფიფიასთან მხოლოდ პრესის ფურცლებიდან შეიტყო და თუმცა დიდ პატივს სცემს ორივე მათგანს, ჯერჯერობით ამის თაობაზე არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღია. თუმცა იგი მიესალმება ნებისმიერ მოძრაობას, რომელიც შეძლებს აფხაზეთის პრობლემების მეტნაკლებად დარეგულირებას.*

„მე არასოდეს ვყოფილვარ არანაირი პარტიისა და ფრაქციის წევრი, ასე რომ, დიდად გამაკვირვა ჯგუფის „მოძრაობა აფხაზეთისათვის" შექმნის ინიციატორებს შორის ჩემი სახელისა და გვარის მოხსენიებამ" – აცხადებს ირაკლი ბათიაშვილი.

* * *

*„აფხაზეთში პროდუქციის შეტანა მასიურად ხდება არა მარტო უცხოეთიდან, არამედ საქართველოდანაც და სავალალოა, რომ ამაში ჩართული არიან არა მარტო რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები, აფხაზ ბოევიკებთან ერთად, არამედ, თავის წილს ამ საქმიდან ქართველი პოლიციელებიც იღებენ" – განაცხადა დეპუტატმა ირაკლი ბათიაშვილმა.*

ამავე დროს, მისი თქმით, ზუგდიდის უშიშროებაში მრავალი ფაქტია დაფიქსირებული, თუ როგორ ეხმარებიან რუსეთის სამშვიდობო მისიის წარმომადგენლები აფხაზ სეპარატისტებს ქართული მოსახლეობის დარბევაში. მაგალითად, გულრიფშის რაიონში, სულ ახლახანს, აფხაზთა თხოვნით, რუსებმა ვერტმფრენებიდან ცეცხლის გახსნით დაიწყეს ტერიტორიების წმენდა. სოფელ რუხთან კი, როდესაც ქართველმა პარტიზანებმა სპილენძის გატანაში აფხაზებისათვის წინააღმდეგობის გაწევა მოინდომეს, კამათში რუსები ჩაერივნენ და ქართველები სასტიკად სცემეს. ამ ფაქტზე, ბათიაშვილის მოთხოვნით, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

ასე რომ, ირაკლი ბათიაშვილის განცხადებით, მაშინ, როცა ხელისუფლება პრობლემის გადაჭრის პოლიტიკური გზების ძიებაშია, კონფლიქტის ზონაში, ბიზნესის თვალსაზრისით, სარფიანი პროცესები მიმდინარეობს, სადაც ლომის წილი რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებს ეკუთვნით. (გეა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შიდა ქართლის მდგომარეობის მოგვარების რეალური გზა

## რა უნდა გაკეთდეს საქართველოსთვის შიდა ქართლის გადასარჩენად

*როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ ჩვენს გაზეთში, არის ზოგადეროვნულ ამოცანათა წრე, რომელთა გადაჭრის გზებზეც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას უნდა ჰქონდეს თავისი დასაბუთებული კონცეფცია, თავისი სამოქმედო გეგმა და ჰყავდეს თავისი კომპეტენტური, ენერგიული და სანდო კადრი ამ გეგმის განსახორციელებლად. შიდა ქართლში უცხო ძალის მიერ ინსპირირებული კონფლიქტის მოგვარება ერთი ამ ამოცანათაგანია. ქვემოთ გთავაზობთ ამ პრობლემის გადაჭრის ერთ კონცეფციას და ამით გამოგვაქვს იგი საქართველოს ეროვნული ძალების და პოლიტიკით დაინტერესებული სხვა პირების (ასეთი კი საქართველოს ყველა მოქალაქე უნდა იყოს) განსახილველად.*

*არსებულ ხელისუფლებას შიდა ქართლში საქართველოს იურისდიქციისა და კანონიერების აღდგენის პრობლემის გადაჭრა არც შეუძლია და არც უნდა. მკითხველი დაინახავს, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას – და მხოლოდ მას – აქვს ამ პრობლემის გადაჭრის მეცნიერულად გააზრებული გეგმა და ეს გეგმა განხორციელდება მხოლოდ მაშინ, როცა საქართველოს სათავეში ეროვნულად ერთგული ძალები იქნებიან.*

### I. არსებული მდგომარეობა

1. შიდა ქართლში (ყორნისის, ჯავის, ცხინვალის, ქარელის, გორის, კასპის, ახალგორის, მცხეთის რაიონები) ოსური მოსახლეობის იმიგრაცია და მისი რაოდენობის გაზრდა XVII-XVIII საუკუნეებიდან დღემდე ბარზე მთის მოწოლის (ანუ მთის მცირემიწიანი მოსახლეობის ბარში ჩამოსვლისა და დასახლების) მთელ მსოფლიოში გავრცელებული პროცესის ერთი კერძო შემთხვევაა. მთის მოსახლეობა – ზოგჯერ უცხო ტომისა და ზოგჯერ იმავე ეროვნებისა, რაც ბარის მოსახლეობაა – ან თანდათანობით ან მასობრივად ჩამოდის და სახლდება ბარში; თუ ჩამოსვლა თანდათანობითაა, მაშინ მთიელები ითვისებენ მეურნეობის და სოციალური ცხოვრების ადგილობრივ ფორმებს და ნელ-ნელა ერწყმიან ადგილობრივ საზოგადოებას. თუ ჩამოსვლა უეცარია (მასობრივია), მაშინ მთიელებს თავისი ცხოვრების წესი ბარში ჩამოაქვთ და ცალკე საზოგადოებებს (თემებს) ქმნიან. ორსავე შემთხვევაში – განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ჩამოსულები უცხო ტომს ეკუთვნიან, – რიცხობრივი უპირატესობის მიღწევისთანავე, ან რეალურ ძალად ქცევისთანავე რაიმე სხვა გზით, ჩამოსული მოსახლეობა, თუკი იგი სავსებით ამისილირებული (ათქვეფილი) არაა ადგილობრივებთან, ცდილობს თავისი გავლენისა და უფლებების გაფართოებას მანამდე არსებული ადგილობრივი ძალების შეზღუდვის ხარჯზე. დამხვდური ტერიტორიის ხელისუფლება ახალმოსულებს, ჩვეულებრივ, იმით იმორჩილებს ხოლმე და სახელმწიფო დისციპლინის ჩარჩოში იმით აქცევს ხოლმე, რომ მას, ჩვეულებრივ, უფრო განვითარებული ორგანიზაციული ფორმა აქვს, ვიდრე მოსულებს, და უფრო დიდი პოლიტიკური წარმონაქმნის – სახელმწიფოს – ნაწილია. როცა ეს სახელმწიფო სუსტია და საჭირო წინააღმდეგობის გაწევა არ ძალუძს, მაშინ მოსულნი იმარჯვებენ და თანდათან ითვისებენ სათანადო ტერიტორიებს: ეს ტერიტორია სახელმწიფოს იურისდიქციიდან გამოჰყავთ, ასუსტებენ მასზე ამ იურისდიქციას და ა.შ. საქართველოში ასეთი პროცესები ცნობილია

ა) *აღმოსავლეთ კახეთში* (დღევანდელ საინგილოში), სადაც ჩამოსახლებულ ლეკთა თემებმა შაჰ-აბასის ლაშქრობათა შედეგად დაცლილი ტერიტორიები დაისაკუთრეს და დარჩენილი ქართველი მოსახლეობა დაიყმევეს

ბ) *შიდა ქართლში*, სადაც ოსებმა კავკასიონის ჩრდილო ფერდობებიდან გადმოსვლა დაიწყეს XVII-XVIII საუკუნეებში, ხოლო ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მასობრივად შემოვიდნენ ხიზნებად და დღევანდელ ჯავის რაიონში უმრავლესობა შეადგინეს

გ) *აფხაზეთში*, სადაც XVII-XVIII საუკუნეებში, თურქული ლაშქრობების შედეგად ქრისტიან მოსახლეობისგან თითქმის დაცლილ ტერიტორიაზე ყაბარდოულ-აბასური ტომების დიდი მასა შემოვიდა და ადგილზე მაცხოვრებელ უახლოესად მონათესავე აფსუებს – ამ ტერიტორიის ერთ-ერთ (მაგრამ არა ერთადერთ) ადგილობრივ ეთნოსს შეერწყა და

დ) *პანკისის ხეობაში*, სადაც XIX საუკუნეში შემოსული რამდენიმე ათასიანი ქისტური დიასპორა ცხოვრობს.

მცირემიწიან მთიელ უცხოტომელთა მიერ ქვეყნის ბარის მოსახლეობის შევსების და მისი ეროვნული შემადგენლობის თანდათანობითი შეცვლის ეს პროცესი სახელმწიფოსთვის საშიშია იმ მომენტიდან, როცა იწყება შემოსული მოსახლეობის მოქმედება *სპეციფიკურ კოლექტიურ უფლებათა* მოსაპოვებლად, რადგან ეს მოქმედება გარდუვალად გადაიზრდება ხოლმე ტერიტორიისათვის ბრძოლად ჩამოსულ მოსახლეობასა და ადგილობრივად არსებულ მოსახლეობას შორის. ეს – თუკი მოსულებსაც თავისი სახელმწიფო აქვთ იქ საიდანაც წამოსულნი არიან, და ადგილობრივადაც სახელმწიფო არსებობს – არის *ტერიტორიისთვის ბრძოლა ორ სახელმწიფოს შორის*. ამიტომ სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც ხდება იმიგრაცია, ვალდებულია, თავისი მომავლის ინტერესებიდან გამომდინარე, რომ მუდმივი კონტროლის ქვეშ ჰქონდეს ეს ბუნებრივი პროცესი და ზომები მიიღოს მაშინათვე, როგორც კი შემოსული მოსახლეობისათვის სპეციფიკური ტერიტორიული უფლებებისა და პრივილეგიების მინიჭების მოთხოვნა დადგება. წინააღმდეგ შემთხვევაში მას თავისი ყველა იმ ტერიტორიების დაკარგვა ელის, რომლებსაც უფრო მცირერესურსებიანი უცხო ტერიტორიები – მაშასადამე, პოტენციურად მიგრანტთა მიმცემი ტერიტორიები – აკრავს.

საქართველოში ოსთა ყველაზე ინტენსიური შემოსახლების დროს, (XIX ს. XX ს-ის დასაწყისი) საქართველოს სახელმწიფოებრიობა არ ჰქონდა და, შესაბამისად, არც თავის ტერიტორიაზე ქართველი ერის იურისდიქციის განხორციელების მექანიზმი გააჩნდა. საქართველოში მოსულმა ოსებმა თუმცა იცოდნენ, რომ მოსულნი იყვნენ, მაგრამ თვლიდნენ, რომ ისინი რუსეთის კუთვნილ მიწაზე სახლდებიან და არა საქართველოსაზე. ამ უფლებრივმა და ფსიქოლოგიურმა ორიენტაციამ განსაზღვრა როგორც დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ რუსი ბოლშევიკების ინსპირაციით 1918–1920 წლებში მოწყობილ ამბოხებებში ოსების მასობრივი მონაწილეობა, ისე მათ მიერ 1922 წელს რუსი ოკუპანტების მიერ შექმნილი „სამხრეთ ოსეთის“ სამართლიანობის აღიარება. 1922 წლიდან დღემდე ცხინვალის რეგიონის ოსი ახალგაზრდობის აღზრდამ იმ აზრის ჩანერგვით, რომ ეს ზონა ისტორიულადაც „ოსეთია“ და რომ ოსური მოსახლეობა აქ ავტოხთონურია (ისტორიულად მკვიდრია), ის ნაყოფი გამოიღო, რომ ოსთა საქართველოში იმიგრაციის ფაქტი დავიწყებას მიეცა და მათი ახალი თაობა ამ ტერიტორიას ისტორიულადაც თავის ქვეყნად თვლის.

ამგვარად, ცხინვალის ზონაში არსებული კონფლიქტი არც ეთნიკური კონფლიქტია (ანუ ეთნიკურ ჯგუფთა საურთიერთო ანტიპათიით გამოწვეული შუღლი), არც საკუთრივ პოლიტიკური კონფლიქტია (ანუ სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა თამაშით განპირობებული მოკლევადიანი კონფლიქტი). ეს არის *ორი ხალხის სავსებით შეგნებული (ცნობიერი) ბრძოლა მიწა-წყლისათვის (ტერიტორიისთვის)*, რომელშიც ოსი ხალხი შემტევი მხარეა, ქართველი ხალხი კი თავდამცველი, და იგი ასეთ კონფლიქტად უნდა იქნას განხილული როგორც საქართველოს სახელმწიფოს, ისე საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ.

2. საქართველოში მყოფ ოსთა დასახლების ზონის ადმინისტრაციულ სახელწოდებაში სიტყვა „ოსურის“ ხმარება პირველებმა დაიწყეს (XIX ს.) „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოებამ“, რომელიც ცდილობდა საქართველოს ოსური მოსახლეობა ქართული მღვდელმსახურებიდან რუსულზე გადაეყვანა, და რუსეთის სამხედრო ადმინისტრაციამ, რომელმაც ჯერ „ოსური უბანი“ (осетинский участок) შექმნა გორის მაზრაში, შემდეგ კი „ოსური ოკრუგი“. (შემდეგში ორივე გაუქმდა). ორსავე შემთხვევაში ეს ტერმინოლოგია ასახავდა მხოლოდ სახელის დამრქმევთა სურვილს, რომ საქართველოში არა ქართველთა პოზიციები გაემაგრებინათ საქართველოს ეროვნული პოტენციალის დასუსტების მიზნით, და არა მოსახლეობის რეალურ განლაგებას ან მიწის კუთვნილებას მოსახლეობის თვალში. (ამ სახელებით აღნიშნული ტერიტორია არ იყო იგივე, რაც შემდეგში „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქად“ წოდებული ტერიტორია. იგი მისი დაახლოებით ნახევარი იყო. (იხ. С.Лекишвили, когда возник термин "Южная Осетия "?" კრებული Осетинский вопрос, თბილისი, 1994 გვ. 229–249). ოსური ტერიტორიული ავტონომია „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ სახელით საქართველოში რუსეთის მიერ ოკუპაციის პირობებში შეიქმნა 1922 წლის აპრილში. იგი „დააკანონა“ საქართველოს ცაკ-ის და საქართველოს სახკომსაბჭოს №2 დადგენილებამ, რასაც წინ უსწრებდა – და, რა თქმა უნდა, განაპირობებდა – რუსეთის კომუნისტური პარტიის ბოლშევიკების) – მაშასადამე, უცხო ქვეყნის ერთ-ერთი პარტიის – ცეკას კავკასიის ბიუროს დადგენილება „სამხრეთ ოსეთისთვის ავტონომიის მინიჭების შესახებ“, მიღებული 1920 წლის 28 ოქტომბერს, ანუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დროს. (არც „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს“, არც შემდეგ გამოცხადებულ თვითმარქვია „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას“ არც ერთი საათი არ უარსებიათ ცხინვალის ზონის ტერიტორიაზე უცხო (რუსული) შეიარაღებული ძალის არყოფნის პირობებში). 1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს პირველმა დემოკრატიულად არჩეულმა უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ – გააუქმა უკანონოდ შექმნილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“. ამიერიდან გამოთქმის „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ ოფიციალურად ხმარება საქართველოს კანონის წინააღმდეგ მიმართული მოქმედებაა.

1989–1991 წლებში რუსეთის მიერ ინსპირირებულმა და ჯერ საბჭოთა არმიის ცხინვალში განლაგებულ ორ პოლკზე, შემდეგ ამ ორ პოლკზე და რუსეთის შინაგან ჯარებზე, ბოლოს კი – რუსულ „ჩრდილოოსურ“ „სამშვიდობო“ ძალებზე დაყრდნობილმა მოძრაობამ ორჯერ შექმნა თვითმარქვია „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“, რომელიც ჯერ საბჭოთა კავშირთან, შემდეგ კი რუსეთთან შეერთებას ითხოვდა, აირჩია „პარლამენტი“ და „პრეზიდენტი“. ამ უკანონობაზე რეაგირება და უფლებრივი ვითარების კანონისადმი შესაბამისობაში მოყვანის ცდა არც საქართველოს პარლამენტს, არც საქართველოს პრეზიდენტ შევარდნაძეს დღემდე არ მოუხდენიათ.

1989 წლის ბოლოსათვის ოსების სეპარატისტულ მოძრაობას შიდა ქართლში უკვე სისხლის დაღვრა მოჰყვა (კონფლიქტის პირველი მსხვერპლნი ქართველი ეროვნებისა იყვნენ). ადგილი ჰქონდა დანაშაულობებს ადამიანობის წინააღმდეგ. საბჭოთა არმიის ორ პოლკზე დაყრდნობით, რომლებიც ცხინვალში იყვნენ განლაგებულნი, სეპარატისტებმა გააჩაღეს საბრძოლო მოქმედება ქართველი მოსახლეობისა და საქართველოს მილიციის წინააღმდეგ. ისევ საბჭოთა არმიისა და სპეცსამსახურების დახმარებით მათ შექმნეს სერიოზული სამხედრო ძალა, რომლითაც ჩაატარეს ტერიტორიის დიდი ნაწილის ეთნიკური წმენდა ქართველებისაგან და როგორც ქცხინვალის, ისე მთელი ყოფილი ზნაურის რაიონის ქართველი მოსახლეობა საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილებად აქციეს. ისევ ცხინვალში საბჭოთა ჯარის დგომის პირობებში, სეპარატისტებისათვის მათი მხარდაჭერის წყალობით, შეიარაღებული კონფლიქტი გაგრძელდა ზ.გამსახურდიას მმართველობის მთელი ხნის მანძილზე. ამ დროსაც და შემდეგაც, საქართველოში „სამხედრო საბჭოსა“ და „სახელმწიფო საბჭოს“ მმართველობის პირობებში ხდებოდა ლიახვის ხეობის ქართული სოფლების, სოფ.ნიქოზის, ხაშურის რაიონის სოფლების ატოცისა და კნოლევის რაკეტებით დაბომბვა სეპარატისტების მიერ. სახელმწიფო საბჭოსა და მის თავში მდგომი შევარდნაძის მმართველობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროსვე, 1992 წლის ზაფხულის დამდეგს, ისევ ცხინვალში და ცხინვალის წინ საბჭოთა ნაწილების დგომის პირობებში ქვემეხის ცეცხლი გაეხსნა ქცხინვალს და იგი რამდენიმე დღის მანძილზე იბომბებოდა ამ ქვემეხის მიერ (ძირითადად, ფუჭი ე.წ. „ბოლვანკებით“), მაგრამ შევარდნაძის ადმინისტრაციას ამ პროვოკაციული ეპიზოდის გამოძიება არ ჩაუტარებია. სამაგიეროდ ძალიან მალე, 1992 წლის 24 ივნისს შევარდნაძემ დაგომისში ხელი მოაწერა ანტიქართულ შეთანხმებას, რომლის ძალითაც თითქოს „კონფლიქტის ზონაში“, სინამდვილეში კი ყოფილი „სამხრეთ ოსეთის“ თითქმის მთელ ტერიტორიაზე რუსული და ჩრდილო-ოსური ჯარი განლაგდა „სამშვიდობო“ ფუნქციის შესრულების საბაბით. ამ შეთანხმებით მოხდა შიდა ქართლის ფაქტობრივად ოფიციალური ოკუპაცია და სეპარატისტებს შეუზღუდავი მოქმედების საშუალება მიეცათ.

დღეს საქართველოს პრეზიდენტი, წინაალმდეგ საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს 1990 წლის 11 დეკემბრის დადგენილებისა, შიდა ქართლს კვლავ „სამხრეთ ოსეთს“ უწოდებს და რეალურ ნაბიჯებს დგამს „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ დასაკანონებლად პარლამენტის მიერ. ამით იგი საქართველოს ეროვნული ტერიტორიის ერთ ნაწილს სხვა ხალხის ქვეყანად აღიარებს (და ამით ოსი ხალხის წინაშე სამომავლოდ ორი „ოსეთის“ გაერთიანების საერთო-ეროვნულ ამოცანას სვამს).

საგულისხმოა, რომ, თუ ეს განზრახვა განხორციელდა, საქართველო იძულებული იქნება ტერიტორიული ავტონომია მიანიჭოს საქართველოში კომპაქტურად მაცხოვრებელ ყველა ეროვნულ ჯგუფს და საქართველოში იმდენი „რესპუბლიკა“ შექმნას, რამდენიც ასეთი ჯგუფია. ამ პოლიტიკას საქართველოს სახელმწიფოს დაშლისაკენ მივყავართ. პრეზიდენტის პოზიციას აღნიშნულ საკითხში მხარს არ უჭერს არც ერთი ქართველი მეცნიერი.

სამწუხაროა, რომ ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორიცაა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი (ეუთო), კერძოდ მისი მისია საქართველოში, ამ შემთხვევაში რუსეთის და მისი ოსი მარიონეტების ინტერესებს იცავს და, წინაალმდეგ საერთაშორისოდ აღიარებულ უფლებადაცვით ნორმათა მთელი სისტემისა, რომელიც ადგილობრივ უმრავლესობებს არ ანიჭებს ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნის უფლებას, რეკომენდაციას იძლევა, რომ საქართველომ სეპარატისტთა უკანონო მოთხოვნას დაუთმოს და საქართველოში ოსური „რესპუბლიკა“ შექმნას. ამგვარად, ზნეობრივი თვალსაზრისით ეუთოს მისია მოქმედებს ისე, თითქოს ადგილი ჰქონდეს მცირე ერის ბრძოლას თვითგამორკვევისათვის თავის ისტორიულ მიწაზე და არა უცხო ერის დიასპორის შეტევას ადგილობრივ ერზე (ქართველებზე), – ისიც, შეტევას უცხო მსოფლიო ძალის, რუსეთის დახმარებით – მისი მიწა-წყლის მომავალში მიტაცების მიზნით. იურიდიული თვალსაზრისით კი ეუთოს მისია დანაშაულებრივ და დეზინფორმაციას ეწევა, როცა უმალავს სეპარატისტებს ისეთი უფლებადაცვითი ნორმის არარსებობას, რომელიც უმცირესობას, ხოლო ადგილობრივად – უმრავლესობას ტერიტორიული ევტონომიის მიღების უფლებას ანიჭებდეს, და კონფლიქტის გასაღვივებლად აქეზებს დამნაშავე სეპარატისტებს, როცა მათ თვითმარქვია „პარლამენტს“ სიტყვით მიჰმართავს და მათს პრეტენზიას ტერიტორიულ ავტონომიაზე, რომელსაც ისინი ქართველი მოსახლეობის სისხლიანი გენოციდით იცავენ, მართებულ პრეტენზიად აცხადებს (ლაპარაკია ელჩ აიფის გამოსვლაზე სეპარატისტული „პარლამენტის“ წინ). მისიის ამ მიზანმიმართულად ანტიქართულ მოქმედებაში წამყვანი როლი აქვთ მისიის ხელმძღვანელებს ბ-ნ ცვეტკოვს (უკრაინა), ბატონ აიფს (გერმანია) და ბატონ ბოდენს (გერმანია), რომელთა მიკერძოებას ჩვენ უფრო კეთილშობილური მიზეზით ვერ ავხსნით, ვიდრე *რასაზე* დამყარებული სიმპათია მთიანი კავკასიის ერთადერთი ინდოგერმანი ხალხის – ოსების მიმართ. ამგვარად, იძულებული ვართ, ჩავთვალოთ, რომ ადგილი აქვს საერთაშორისო შეთქმულებას საქართველოს სასიცოცხლო ინტერესთა წინაალმდეგ და საქართველოს პრეზიდენტი ამ შეთქმულების თანამონაწილეა.

3. *პრაქტიკულად.* შიდა ქართლის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენას დღეს ხელს უშლის *სამი* ფაქტორი:

ა) *რუსეთის პოლიტიკური ზეწოლა, რეგიონში რუსეთის შეიარაღებული ძალების დგომა* („სამშვიდობო“ ძალების შემადგენლობაში) *და მათი გაზრდის მუდმივი შესაძლებლობა,* რაც ოს სეპარატისტებს იცავს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრით ძალის მიყენებისაგან და, ამგვარად, მათ თავისუფალი მოქმედების საშუალებას აძლევს.

ბ) *ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) საქართველოს მისიის მიერ ოს სეპარატისტთა მხარდაჭერა მათს სურვილში „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ შექმნისა,* რაც გამოხატულია მისიის „რეკომენდაციაში“ კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე და რაც გავლენას ახდენს მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრზე ოს სეპარატისტთათვის სასარგებლო მიმართულებით.

გ) *ოს სეპარატისტთა შეიარაღებული ძალა,* რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთა მიერ შეიარაღებული და გაწვრთნილი, რომლის ძირითადი ნაწილი („სამშვიდობო“ კონტინგენტის ჩაუთვლელად) ორი ათას კაცს უდრის.

–საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას პრეზიდენტის სახით, რომელიც სახელმწიფოს მეთაურობს 1992 წლის მარტიდან, და პარლამენტის სახით დღემდე არ უცდია რომელიმე ამ ფაქტორის განეიტრალება ან მოხსნა.

## II. არსებული პოლიტიკის გაგრძელების უპერსპექტივობა

პოლიტიკა, რომელსაც არსებული ხელისუფლება ატარებს, *შიდა ქართლის პრობლემას ვერ გადაწყვეტს.* პირიქით, იგი გააღრმავებს კონფლიქტს და მას მომავალი თაობებისათვის სისხლისღვრის, შიმშილისა და ქაოსის საფუძვლად გახდის. სახელდობრ:

1. შიდა ქართლის ოსი მოსახლეობისათვის ტერიტორიული ავტონომიის კიდევ ერთხელ მიცემა და ამ ტერიტორიის სახელად სიტყვა „ოსეთის“ დაკანონება, როგორც ამას შევარდნაძე აპირებს, კი არ მოხსნის, არამედ, პირიქით, უსაზღვროდ გაამწვავებს კონფლიქტს, ვინაიდან, ერთის მხრივ, იგი ექვსასათასიან ოს ხალხს პირველ საერთო-ეროვნულ ამოცანად დაუსახავს ორი „ოსეთის“ – ნამდვილისა და „სამხრეთ ოსეთის“ – ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას, მაშასადამე – შიდა ქართლის მიტაცებას, ქართველი მოსახლეობის მთლიანად გამოძევებას დროთა განმავლობაში და საქართველოს საზღვრის გორიდან ოცდამერვე კილომეტრზე გადმოტანას. მეორე მხრივ, ექსტრემისტი ლიდერების ეს „გამარჯვება“ უზომოდ გაზრდის მათ პრესტიჟს მოსახლეობის თვალში და ამ უკანასკნელს აგრესიული ანტიქართული პოლიტიკის მორჩილ იარაღად გახდის. ეს კონფლიქტი უდავოდ სისხლიანი იქნება და გაგრძელდება მანამდე, სანამ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ან კაპიტულაციას არ გამოაცხადებს (ე.ი. მიწა-წყალს არ დათმობს) ან ოს ექსტრემისტებს ძალით არ გატეხავს. ცხადია, ოსი სეპარატისტების მიმართ ძალის გამოყენება მით უფრო ძნელი იქნება (და მით უფრო მეტ მსხვერპლად დაჯდება), რაც უფრო მეტი დრო ექნებათ სეპარატისტებს თავისი თვითმარქვია „რესპუბლიკის“ მოწყობისათვის, შეიარაღებულ ძალთა შექმნისათვის და საერთაშორისო კონტაქტების დამყარებისათვის.

2. როგორც ვთქვით, შიდა ქართლში ოსებისათვის ტერიტორიული ეროვნული ერთეულის შექმნა, რასაც დღესდღეობით საერთაშორისოდ მიღებული უფლებადაცვითი ნორმები არ მოითხოვს, ჯაჭვური რეაქციით გამოიწვევს ასეთივე ტერიტორიული ეროვნული ერთეულების შექმნას სომხებისთვის (ჯავახეთი), აზერბაიჯანელებისთვის (ქვემო ქართლი), ქისტებისთვის (პანკისის ხეობის ზემოწელი), ბერძნებისთვის (თრიალეთი) და, შესაბამისად, პირველი სამის დროთა განმავლობაში დათმობას მეზობელი ქვეყნებისათვის.

შენიშვნა. არ არის გამორიცხული, რომ შევარდნაძე, რომელსაც ზემოხსენებული კაპიტულანტურ-ანტიქართული პოლიტიკა მიჰყავს, შეუთანხმდეს თავის სეპარატისტსა და რუს პარტნერებს, რომ საქართველოსგან ზემოხსენებული ავტონომიური ტერიტორიული ერთეულების გამოყოფის მოთხოვნა წამოაყენონ მხოლოდ მისი თანამდებობიდან წასვლის ან სიკვდილის შემდეგ, რათა საქართველოს მომავლის წინაალმდეგ მიმართული ამ პოლიტიკის შედეგად მისი მმართველობის აწმყო „სტაბილობა“ არ დაირღვეს.

3. შიდა ქართლში „ოსეთის“ დაკანონება შექმნის პლაცდარმს რუსეთის გავლენისათვის საქართველოში, რომლის წყალობითაც მან შეიძლება განახორციელოს მუდმივი მუქარა სულ რამდენიმე კილომეტრის მანძილზე მდებარე სასიცოცხლო კომუნიკაციებისათვის (რკინიგზა, გზატკეცილი, ნავთობსადენი), რითაც, ერთის მხრივ, დააქვეითებს საქართველოს გეოსტრატეგიულ ფუნქციას XXI საუკუნის პირველ ნახევრისათვის მაინც და დააკარგვინებს საქართველოს ამ ფუნქციებთან დაკავშირებული შემოსავლების დიდ ნაწილს, მეორე მხრივ, პარალიზაციას გაუკეთებს თვით საქართველოს შიგნით და ამიერკავკასიის შიგნით არსებულ კავშირებს გორის აღმოსავლეთით და გორის დასავლეთით მდებარე ზონებს შორის.

## III. რა პოლიტიკა უნდა გაატაროს საქართველოს ხელისუფლებამ, რათა შიდა ქართლის პრობლემა წარმატებით გადაწყდეს

შიდა ქართლში შექმნილი მდგომარეობა გამოუვალი არ არის. საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია, თუკი სწორ პოლიტიკას აწარმოებს, მოხსნას როგორც საქართველოს ტერიტორიული დაზარალების, ისე კონფლიქტის მუდმივი კერის დატოვების საფრთხე. კერძოდ, მას შეუძლია მოხსნას (გაანეიტრალოს) ის სამივე ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენას შიდა ქართლში. ამის მისაღწევად საჭიროა მოქმედება რამდენიმე მიმართულებით პარალელურად. ამ მოქმედების კონკრეტული პროგრამა ასეთია:

### 1. მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის მიმართულებით.

საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია და იგი ვალდებულია, დასაბუთებული პასუხი გასცეს საქართველოში ეუთოს მისიის რეკომენდაციებს, რომელთა მიხედვითაც საქართველო უნდა დათმოს და დათანხმდეს „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ არსებობას შიდა ქართლში. მას შეუძლია და ვალდებულია, განუმარტოს ეუთოს მისიას და შეახსენოს მსოფლიო საზოგადოებრიობას, რომ

ა) ერის თვითგამორკვევის ანუ თვითგანსაზღვრის უფლება, რომელსაც აღიარებს მთელი მსოფლიო, არ ნიშნავს სხვა (ნებისმიერ) ქვეყანაში მაცხოვრებელი ეროვნული ჯგუფის (უმცირესობის) უფლებას, განსაზღვროს იმ ტერიტორიის სტატუსი და სახელწოდება, რომელზედაც ცხოვრობს. ერი ან ეროვნული ჯგუფი (ეროვნული უმცირესობა) განსაზღვრავს მხოლოდ თავისთავს, ანუ თავის ეროვნულ თვითცნობიერებას, სწავლების ენას, თავის შინაგან ურთიერთობებს და ა.შ.

ბ) ქართულ-ოსური კონფლიქტი, რომელიც შიდა ქართლში მიმდინარეობს, არის ორი ერის ბრძოლა არა პოლიტიკური გავლენისა და უფლებებისათვის, არამედ მიწისათვის (ტერიტორიისათვის), რომელიც (ეს ბრძოლა) საქართველოს მიწა-წყალზე მიმდინარეობს და რომელშიც შეტევას აწარმოებს ოსური მხარე, ქართული მხარე კი თავისთავს და თავის ისტორიულად კუთვნილ ტერიტორიას იცავს. ამგვარად, ოსური პრეტენზიების მხარდაჭერა, პერსპექტივაში, ამ ბრძოლაში საქართველოს დამარცხების მხარდაჭერაა.

გ) საქართველოში „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ შექმნა კი არ დააცხრობს, არამედ, პირიქით, გააღვივებს კონფლიქტს, ვინაიდან იგი ოს ერს საერთო ეროვნულ ამოცანად დაუსახავს ორი „ოსეთის“ გაერთიანებას. (იხ. ზემოთ). ასეთი კონფლიქტი, თუ იგი გაღვივდა, მხოლოდ ერთ-ერთი მხარის რესურსთა (მათ შორის – ადამიანურ რესურსთა) სრული ამოწურვით და ამ საფუძველზე ერთ-ერთი მხარის გამარჯვებით შეიძლება დამთავრდეს.

დ) საქართველოში „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ შექმნა იყო რუსი ოკუპანტის მიერ ძალად თავს მოხვეული

# შიდა ქართლის მდგომარეობის მოგვარების რეალური გზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შიდა ქართლის მდგომარეობის მოგვარების რეალური გზა

შეკვეცა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებებისა და საქართველოს დასუსტების საშუალება. ოსური სეპარატიზმი იყო, არის და დარჩება რუსეთის გეგმის გამტარებლად საქართველოში, რუსეთის გავლენიდან საქართველოს გამოსვლის ხელისშემშლელად. მისი არსებობა მხოლოდ გარეშე ძალის საფუძველზე იყო დამყარებული და მისი აღდგენის მცდელობა მხოლოდ ამ ძალას ემყარება. მისი მხარდაჭერა საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიული პოლიტიკის მხარდაჭერას ნიშნავს.

ე) „სამხრეთ ოსეთის აო“-ს შექმნა საქართველოში 1922 წელს იყო არალეგიტიმური აქტი, მისი გაუქმება დემოკრატიულად არჩეული უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს) მიერ 1990 წლის 11.XII იყო სავსებით კანონიერი აქტი, რომლის გადასინჯვა ან გაუქმება არავის უცდია. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს სსრკ არ იყო დაშლილი და სსრკ კონსტიტუციის თანახმად სსრკ პრეზიდენტს და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს (რომლის უზენაესობას და რომლის კანონთა უზენაესობას საქართველოს უზენაესი საბჭო, ცხადია, არ ცნობდა) შეეძლოთ საქართველოს უზენაესი საბჭოს ამ დადგენილების გაუქმება, საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა გორბაჩოვმა არ აიღო თავისთავზე ასეთი ბრძანებულების გამოცემა ან უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსთვის ამის ქნის შეთავაზება, არამედ დაკმაყოფილდა მოწოდებით კონფლიქტის ოსური მხრისადმი, რომ გაეუქმებინა თავისი გადაწყვეტილება „სამხრეთ ოსეთის აო“-ს („რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ“, და საქართველოს უზენაესი საბჭოსადმი, რომ გაეუქმებინა თავისი დადგენილება „სამხრეთ ოსეთის აო“-ს გაუქმების შესახებ. ოსურმა მხარემ შეასრულა გორბაჩოვის მიწოდება, საქართველოს უზენაესმა საბჭომ, ცხადია, არა. მაგრამ გორბაჩოვის მხრიდან თავისი პოზიციის პრაქტიკაში გატარების მცდელობა არ განმეორებულა.

ვ) რომ შიდა ქართლში „სამხრეთ ოსეთის“ შექმნა პერსპექტივაში შეუთავსებადია საქართველოს სახელმწიფოებრიობასთან, რადგან ეს პრეცედენტი გამოიწვევს ანალოგიური ტერიტორიული ავტონომიების შექმნის მოთხოვნას სხვა ეროვნული დიასპორების – სომხების, აზერბაიჯანელების, ქისტების, ბერძნების მხრიდან და საქართველოს მოსახლეობის შემოქმედებითი ენერგიის დიდი ნაწილი მოუნდება ბრძოლას ამ ტერიტორიული ერთეულების უფლებათა მოპოვებისათვის ცენტრალური ხელისუფლების პირისპირ და პირიქით, ცენტრის გაძლიერებისათვის ამ ერთეულებთან მიმართებაში.

ზ) რომ ტერიტორიული ავტონომიების შექმნა განსხვავებული ეროვნული ჯგუფებისათვის იმ საფუძველზე, რომ მათ დემოგრაფიული პროცესების შედეგად (მიგრაცია, გამრავლების ტემპი) მიაღწიეს რიცხობრივ უპირატესობას სახელმწიფოს ტერიტორიის რაღაც ნაწილში, იქნება *სახიფათო პრეცედენტი მსოფლიოსთვის, ვინაიდან ეს შექმნის ყველა ქვეყანაში ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის შიშს ეთნიკურად განსხვავებული მოსახლეობის დემოგრაფიული კეთილდღეობის წინაშე* და ამ კეთილდღეობის შეფერხების ცდუნებას, რაც *გენოციდის და ეთნიკური წმენდის* ბუნებრივი ფსიქოლოგიური საფუძველია და ბუნებრივადვე იწვევს საპასუხო ძალადობას („პროფილაქტიკური“ ძალადობის ჩათვლით) მეორე მხრიდანაც.

თ) რომ მოცემული ტერიტორიისა და მასზე მოსახლე ადამიანების ისტორიას აქვს მნიშვნელობა მისი სტატუსის განსაზღვრისათვის, ეუთოს მისიის „რეკომენდაციებში“ საქართველოში „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულის შექმნის თაობაზე პირდაპირაა ნათქვამი, რომ ეუთოს პრაქტიკაში „მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ ფაქტებს და არა მათი წარმოშობის ისტორიას“. საქართველოს ხელისუფლების მოვალეობაა განუმარტოს ეუთოს მისიას, რომ ეუთოს ეს „პრაქტიკა“ არავისთვის არაა სავალდებულო, გარდა თვით ეუთოსი. რადგან ისტორიის უარყოფის პრინციპი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოდ ორგანიზებული ერის დანაშაულებრივი ქმედებით მიღწეული უპირატესობა (ტერიტორიის გაწმენდა სხვაგვარი მოსახლეობისაგან, ტერიტორიის დაკავება და ა.შ.) წამსვე შეიძლება მომხდარ ფაქტად ჩაითვალოს და დაკანონდეს.

ი) რომ შიდა ქართლის იმ ზონაში, რომელშიც „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ არსებობდა, მკვიდრი ქართველი მოსახლეობაც არის (მთელი მოსახლეობის 30%, ახალგორის რაიონში კი – 55%), რომლისთვისაც აბსოლუტურად მიუღებელია მათი დასახლების ოსურ დაქვემდებარებაში შეყვანა და ამ ტერიტორიის „ოსეთად“ გამოცხადება; რომ ამ მოსახლეობის დიდი ნაწილი დღეს ლტოლვილადაა ქცეული ჩატარებული ეთნიკური წმენდის შედეგად და ოსი სეპარატისტების იურისდიქციის ქვეშ ველარ დაბრუნდება.

კ) რომ საქართველოში მოსახლე 160 ათასი ოსიდან ყოფილი „ოლქის“ ფარგლებში მეტ-ნაკლებად კომპაქტურად ცხოვრობს მხოლოდ 60 ათასი, დანარჩენი 100 ათასი კი მიმობნეულია მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, რის გამოც საქართველოს ოსთა უმრავლესობისთვის მათი ეროვნული ორგანიზაციისა და თვითრეგულირების ფორმად მისაღებია *მხოლოდ ფუნქციური ავტონომია*, ანუ ერთობლივი ოსური პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა ინსტიტუტების შექმნა საერთო პრობლემების გადასაჭრელად (ეროვნული თვითგამორკვევის ანუ თვითგანსაზღვრის ჩათვლით) და არა ტერიტორიული ავტონომია მათი ერთი ნაწილისთვის.

ლ) დასასრულ, მისიას უნდა წარუდგინოს ის შეუვალი არგუმენტი, რომ საქართველო და ქართველი ხალხი, აგრეთვე საქართველოს მოსახლეობა საერთოდ *თანახმაა თავისი ცხოვრება წარმართოს ადამიანის უფლებათა, მათ შორის – უმცირესობის უფლებათა განმსაზღვრელი იმ ნორმების მიხედვით, რომელიც კაცობრიობას საერთაშორისო ორგანიზაციების სახით მას დღემდე მიღებული აქვს, საყოველთაო, ანუ ყველა ხელმომწერი ქვეყნისთვის და ყველა ადამიანისთვის ერთნაირად სავალდებულო ნორმებად*, ვინაიდან ეს ნორმები ჩვენთვის საკუთარი, ჩვენი ისტორიის, ტრადიციისა და სულისკვეთების შესაბამისი ნორმებია, და, სავარაუდოა, იმ ნორმების მიხედვითაც, რომელსაც იგი ამიერიდან მიიღებს, ვინაიდან კაცობრიობის განვითარების ის მიმართულება, რომლითაც იგი ისტორიის ამ ეტაპზე მიდის, სახელდობრ, ინდივიდუალური ადამიანის ფუნდამენტური ადამიანური ფიზიკური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ორიენტაციის მიმართულება ჩვენს ქვეყანასა და ხალხში ყველაზე გავრცელებულ სულისკვეთებას შეესაბამება. მაგრამ არც საქართველოს სახელმწიფო, *არც საქართველოს ხალხი არ არის და ვერ იქნება თანახმა, რომ იხელმძღვანელოს ნორმებით, რომლებიც იქმნება ან შეიქმნება მხოლოდ მისთვის და მხოლოდ კერძო შემთხვევისთვის, და არა კაცობრიობისთვის მთლიანად*. ეუთოს მისიის წინადადებები, რომ უგულვებელყოფილ იქნას ტერიტორიის და პრობლემის ისტორია, რითაც ხალხს ისტორიული მეხსიერების უფლება ერთმევა, რომ სუვერენული ქვეყნის ტერიტორიის ნებისმიერ ნაწილში, როგორც კი ეთნიკურად განსხვავებული მოსახლეობა აქ რიცხობრივ უპირატესობას მიაღწევს, შეიქმნას ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომია და მას გეოგრაფიული სახელი იმ განსხვავებული მოსახლეობის ეთნონიმის მიხედვით ეწოდოს, *არ წარმოადგენს საერთაშორისოდ მიღებულ ნორმას*. ამ წესით არ ხელმძღვანელობს კაცობრიობის ცხოვრების პრაქტიკა და ამ მანიველირებელი ნორმებით არც ქართველი ხალხი იხელმძღვანელებს.

დღეს, როდესაც მსოფლიოში არ არის (და ვერასოდეს ვერ იქნება) არც ერთი ხალხი, რომელსაც დედამიწაზე *ორი სამშობლო* ანუ *ორი ეთნიკური ტერიტორია* ჰქონდეს, და არის არაერთი ხალხი, რომელსაც არც ერთი დაკანონებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი არ გააჩნია ტერიტორიული ავტონომიის სახითაც კი, საქართველოს სახელმწიფო, ქართველი ხალხი და საქართველოს მოსახლეობა მთლიანობაში ვერ დაუშვებენ იმას, რომ შიდა ქართლში მოსახლე ოსებს, რომელთაც *თავისი* ეთნიკური ტერიტორია და *თავისი* (ავტონომიური) სახელმწიფოებრიობა აქვთ კავკასიის ქედის ჩრდილოეთით, საქართველოს ეთნიკური და ისტორიული ტერიტორიის ნაწილი მიეცეს ავტონომიური სახელმწიფოებრიობის შესაქმნელად და მას „ოსეთი“ ეწოდოს.

იმ შემთხვევაში, თუ ეუთოს მისია საქართველოში არ შეიცვლის რადიკალურად თავის პოზიციას, საქართველოს ხელისუფლებას უფლება აქვს და იგი ვალდებულია იგივე არგუმენტაცია გაუმეოროს ეუთოს ცენტრალურ ორგანოებს და ეუთოს მონაწილე სახელმწიფოთა მეთაურებს, უნდობლობა გამოუცხადოს ეუთოს მისიას საქართველოში და მოითხოვოს მისი პირადი შემადგენლობის შეცვლა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ეუთოს ცენტრალურმა ორგანოებმა არ შეცვალეს თავისი საქართველოს მისიის პოზიცია, საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია და იგი ვალდებულია გამოაქვეყნოს თავისი პროტესტი მის მიმართ და მიმართოს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს გაეროს ჩათვლით.

*ყველა* შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებას უფლება აქვს და იგი ვალდებულია, რომ ყველა სათანადოდ უფლებამოსილ საერთაშორისო ორგანიზაციას, გაეროსა და ეუთოს ჩათვლით, მიმართოს მოთხოვნით, რომ დაუყოვნებლივ იქნას შემუშავებული *საყოველთაოდ მნიშვნელადი (ანუ ყველა ხელმომწერი სახელმწიფოსთვის სავალდებულო) ნორმები* ეროვნული უმცირესობების, მათ შორის – ადგილობრივი უმრავლესობების ეთნიკური და ეროვნული ინტერესების დაცვისა სახელმწიფოს მიერ და წარუდგინოს ამ ორგანიზაციებს თავისი დასაბუთებული წინადადება, ანუ პროექტი ამ ნორმათა კრებულისა, რომელიც (ეს პროექტი) ამავე დროს არის იმ პრინციპთა ფორმულირება, რომლითაც საქართველოს ხელისუფლება ხელმძღვანელობს თავის პოლიტიკაში უმცირესობათა მიმართ. სახელდობრ, განისაზღვრება, რა შედის ეროვნული ჯგუფის თვითგამორკვევის უფლებაში მაშინ, როცა იგი ადგილობრივი ისტორიულად მკვიდრი ერია, და მაშინ, როცა მას თავისი დასახელების ეროვნული სახელმწიფოებრიობა სხვაგან აქვს, ეკუთვნის თუ არა ადგილობრივ ეროვნულ (ეთნიკურ) უმრავლესობას ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომიის მინიჭება და ამ ავტონომიისთვის ამ ადგილობრივი უმრავლესობის ეთნონიმის მიხედვით ოფიციალური სახელის დარქმევა? თუ ეკუთვნის – რა პროცენტს უნდა შეადგენდეს ადგილობრივი უმრავლესობა ადგილობრივ მოსახლეობაში, რათა ეს უფლება მიენიჭოს? რა ნიშნებით გამოიყოფა ის ერთეული, რომელზედაც მოსახლეობის აღრიცხვა უნდა მოხდეს ამ უფლების განსასაზღვრად? და სხვა. ასეთი განაცხადი მსოფლიოს წინაშე, დასაბუთებული წინადადების სახით, ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთს იმის შესაძლებლობას, რომ საქართველოს მიმართ წამოყენებულ იქნას პრეტენზიები მისი პოლიტიკის თაობაზე ეროვნული უმცირესობების მიმართ, და საქართველოს ყველა წარმომადგენელს მისცემს შესაძლებლობას, მკაფიო პასუხი გასცეს ყველა პირსა და ორგანიზაციას, რომელიც საქართველოს „მცირე იმპერიად“ მოიხსენიებს ან მის შინაგან ეროვნულ პოლიტიკაში ჩარევას მოიწადინებს. შევარდნაძის უმეცარ პოლიტიკურ გუნდს, რომელიც თითქმის მთლიანად ანტიეროვნულ იდეოლოგიასა და ანტიეროვნულ საქმიანობაში ჩამოყალიბებული ძველი კომუნისტებისგან შედგება, არც მონდომება აქვს და არც უნარი აქვს საქართველოს თვითდამკვიდრების და მსოფლიოს წინაშე თავისი საარსებო პრინციპების დამკვიდრების ამ შემოქმედებითი, მაგრამ ცალსახად პერსპექტიული ამოცანის დასაძლევად. როგორც ეუთოს საქართველოს მისიის დღევანდელმა ხელმძღვანელმა უთხრა ცხინვალელ ლტოლვილებს კერძო საუბარში, მისიის დღევანდელი ანტიქართული პოზიცია საქართველოს პრეზიდენტის პოზიციაცაა. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელსაც თავისი შრომისა და ანალიზის ძირითად საგნად იმთავითვე ეროვნული ინტერესები აქვს და რომლის რეზერვია ქართველი ერის საუკეთესო ნაწილის მთელი ინტელექტუალური პოტენციალი, პირიქით, იმის კომპეტენციაც შესწევს და ის კადრიც ჰყავს, რომელიც ამ შემოქმედებითი ამოცანის დაძლევას სჭირდება.

## 2. შიდა ქართლში ეროვნულ ურთიერთობათა სამარადისო მოგვარების მიმართულებით

საქართველოს ოსი მოსახლეობის (160 ათასი) მიმართ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის და, კერძოდ, შიდა ქართლის ცხინვალის რეგიონის (ყოფილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“. მოსახლეობა: 60 ათასი ოსი და 30 ათასი ქართველი) საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის ურყევი პრინციპები უნდა იყოს შემდეგი:

ა) საქართველოს ხელისუფლება თავის

ზოგად პოლიტიკას და თავის კონკრეტულ ნაბიჯებს საქართველოში მოსახლე ოსების ინტერესებისა და უფლებების, მათ შორის – ეროვნული და ეთნიკური უფლებების გათვალისწინების, დაცვის და სხვა ეროვნული ჯგუფების, მათ შორის – ქართველების ანალოგიურ ინტერესებთან შეხამების მიმართულებით გეგმავს და ატარებს მხოლოდ *მთელ ოსურ მოსახლეობაზე* – 160 ათას სულზე – ორიენტაციით და არა მის რომელსამე ნაწილზე.

ბ) საქართველოს გეოგრაფიულსა და პოლიტიკურ ნომენკლატურაში არაა და ვერ იქნება სიტყვა „ოსეთი". საქართველოში არ არსებობს ოსური ტერიტორია. საქართველოში მაცხოვრებელი და საქართველოს მოქალაქე ყველა ოსი თანაბრად სარგებლობს როგორც საქართველოს ყველა მოქალაქისათვის საერთო უფლებებით, ისე სპეციფიკური უფლებებითა და შეღავათებით, რაც კანონის შესაბამისად დგინდება საქართველოს ოსი მოსახლეობის, როგორც ეროვნული ჯგუფის, ეროვნულ-ეთნიკური ინტერესების დასაცავად.

გ) ყველა დასახლებულ პუნქტში ან უბანში (სოფელი, ქალაქი, რაიონი), სადაც ოსები წარმოადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას, ამ უმრავლესობის საერთო ნების გამოხატვა და რეალიზაცია და ამ უმრავლესობის საერთო ინტერესების მომსახურების ინიციატივა, გარდა იმ მომსახურებისა, რომელიც ხდება სახელმწიფოს მიერ, კანონით გათვალისწინებული წესით, ხორციელდება მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოების არჩევნებში უმრავლესობის მოპოვების გზით.

დ) საქართველოს ოს მოსახლეობას მთლიანად, ისევე როგორც ყველა სხვა ეროვნულ ან ეთნიკურ ჯგუფს მთლიანად, უნდა ჰქონდეს *ფუნქციური ავტონომია*, ანუ მას უნდა შეეძლოს შექმნას თავისი უმრავლესობის წესით არჩეული წარმომადგენლობა, რომელიც ემსახურება საქართველოს მთელი ოსი მოსახლეობის ინტერესებს, მათ შორის – ეროვნულ ინტერესებსაც – კანონის ფარგლებში (ოსური განათლება და მისი სრულყოფა, კულტურული, ეკონომიკური თუ სხვა სახის წამოწყებები, საერთო-სახელმწიფოებრივი კურსის განსაზღვრაზე გავლენა, საარჩევნო კამპანიებში გავლენა და სხვა). ამ წარმომადგენლობას შეუძლია ჰქონდეს თავისი რეზიდენცია (რეზიდენციები) საქართველოს ყველა დასახლებულ პუნქტში და, ამგვარად, შეუძლია ქმედითად განახორციელოს თავისი კავშირი ოს მოსახლეობასთან მისი კომპაქტური თუ არაკომპაქტური განსახლების ყველა ადგილას. წარმომადგენლობას შეუძლია საქმიანი ურთიერთობა ოსურ და სხვა როგორც არასამთავრობო, ისე სამთავრობო ორგანიზაციებთან და პირებთან საქართველოს გარეთ და მას შეუძლია ჰქონდეს სიმბოლიკა.

ე) მოსალოდნელია, რომ შიდა ქართლის სამ რაიონს, სადაც ოსები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ: – ცხინვალისა, ყორნისისა (ზნაურისა) და ჯავისას (ახალგორში ოსები არ არიან და არც ოდესმე ყოფილან უმრავლესობა) – ადგილობრივი ხელისუფლების არჩევითი ორგანოები მუდმივად ეყოლებათ დაკომპლექტებული ძირითადად ამ უმრავლესობისთვის სასურველი პირებით. ამით – დემოკრატიის პირობებში! – ამ უმრავლესობას უზრუნველყოფილი ექნება მისი სპეციფიკური ინტერესების, მათ შორის – ეროვნული ინტერესების დაცვა კანონის შესაბამისად. ამგვარად, სხვა რამ მიზნისთვის, გარდა ტერიტორიულ-პოლიტიკური პოზიციის განმტკიცების პარტიკულარისტული მიზნისა, ამ სამი რაიონის ერთ ერთეულად გაერთიანება ამ რაიონთა ოს მოსახლეობას არ სჭირდება. მიუხედავად ამისა, უკვე არსებული მწვავე მდგომარეობის გათვალისწინებით და მისი ჩაცხრობის მიზნით, შესაძლებელია (მაგრამ სავალდებულო არ არის), რომ (დროებით) დაშვებულ იქნას ასიმეტრია საქართველოს ტერიტორიულ მოწყობაში და ეს სამი რაიონი გაერთიანებული იყოს ერთ ერთეულად („ოლქად", „გუბერნიად"...) და მისი სახელი განისაზღვროს ან მისი ცენტრის მიხედვით (მაგალითად „ცხინვალის ოლქი") ან სხვა რამ წესით (მაგ. „საქართველოს ცენტრალურ-კავკასიური გუბერნია") და მას ჰყავდეს ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული მმართველი. ამაზე უფრო დიდი გამონაკლისი ტერიტორიული მოწყობის მხრივ ამ ზონაში დაუშვებელია, ვინაიდან საქართველოს სხვა ზონებში ეს გამოიწვევს ხანგრძლივსა და ძალიან ძნელად დასარეგულირებელ გართულებებს.

ვ) განსხვავებით მოწინავე დემოკრატიული ქვეყნების პრაქტიკისაგან, სადაც განსხვავებული ეროვნული ჯგუფების ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნება არ არის მიჩნეული ღირებულებად და მისი დაცვა არ არის მიჩნეული სახელმწიფოს ამოცანად, საქართველოს ტრადიცია, მორალი და მისი მოსახლეობის მენტალიტეტი მოითხოვს, რომ სახელმწიფომ თავის ერთ-ერთ წმინდა ამოცანად ჩათვალოს მასში მოსახლე ყველა ჯგუფისთვის და ყველა ადამიანისთვის მათი ეროვნული სახის დაცვა. ოსებისთვის – ისევე როგორც ყველა სხვა ეროვნების მოქალაქისათვის – საქართველოს სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს განათლება დედაენაზე, მისი ერის ისტორიისა და კულტურის ათვისება და მისი ეროვნული თვითცნობიერების შენარჩუნება. ოსური საშუალო სკოლის დაკანონება სახელმწიფოს მიერ აუცილებელია (კომპაქტური დასახლების ყველა ადგილას). სხვა კულტურულ მოთხოვნილებათა დაფინანსების საკითხები ცალ-ცალკე უნდა წყდებოდეს კონკრეტული მდგომარეობის შესაბამისად.

## 3. რუსული ზეწოლის განეიტრალების მიმართულებით

რამდენადაც რუსეთის მხარე თვლის (და ეს არაერთხელ გამოთქმულა პრეზიდენტს ელცინის და სხვა ოფიციალურ პირთა მიერ), რომ რუსეთს მოვალეობა აქვს თავის ოს მოქალაქეთა წინაშე, იზრუნოს მათი ეთნიკური თანამემამულეების ბედზე საქართველოში, მათი პოლიტიკური და თვით ტერიტორიული უფლებებისა და პრივილეგიებისათვის ზრუნვის ჩათვლით, საქართველოს ხელისუფლების უფლებაა და მოვალეობაა, რუსეთის წინაშე და მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე განაცხადოს რუსეთის ამ პოზიციისადმი პროტესტი *საერთაშორისო სამართლის* თვალსაზრისით, როგორც უხეში ჩარევისადმი უცხო ქვეყნის შინაგან საქმეებში. სახელდობრ, განაცხადოს, რომ საქართველოში რუსეთის ოს მოქალაქეთა ეთნიკური თანამემამულეების არსებობა არ აძლევს რუსეთს უფლებას ამ უკანასკნელთა პრობლემების გადაჭრაში ჩარევისა საქართველოს შიგნით, და მიმართოს იმ საერთაშორისო-სამართლებრივ პროცედურებს, რომლებიც არსებობს აგრესიისაგან და აგრესიის განზრახვისაგან თავის დასაცავად; რამდენადაც რუსეთის მხარე თვლის, რომ შესაძლებელია ოს-ქართული კონფლიქტის გავრცელება საქართველო-რუსეთის საზღვრის გადაღმა, საქართველომ ამავე პროცედურით უნდა გახადოს ცნობილი, რომ კონფლიქტის ასეთი გავრცელების მექანიზმი არ არსებობს; რამდენადაც რუსეთი გამოთქვამს შეშფოთებას საქართველოდ ან რუსეთისკენ ოს ლტოლვილთა შესაძლო მოძრაობის გამო, საქართველომ, ანალოგიურადვე, უნდა ცხადი გახადოს, რომ საერთაშორისო სამართლის ძალით რუსეთს არა აქვს ლტოლვილთა გაჩენის საფრთხის საბაბით საქართველოს შინაგან საქმეებში ჩარევის უფლება. ამასთან ერთად, საქართველომ უნდა ოფიციალურად განაცხადოს ყველა მისთვის მისაწვდომი ტრიბუნიდან და ყველა არხით, რომ რუსეთი საქართველოში ოსების პრივილეგიებისთვის, მათ შორის – კანონსაწინააღმდეგო ტერიტორიული პრივილეგიებისათვის ზრუნვის გზით ცდილობს ოსების პოზიციის შერბილებას ოსურ-ქისტურ (ინგუშურ) ტერიტორიულ კონფლიქტში რუსეთის შიგნით. ანუ თავისი მწვავე პრობლემის საქართველოში გადმოტანას.

უწინარეს ყოვლისა, საქართველომ უნდა გააუქმოს დაგომისის შეთანხმება და, ამგვარად შეუწყვიტოს რუსეთის „სამშვიდობო" კონტინგენტს და ოსურ („ჩრდილო-ოსურ") „სამშვიდობო" კონტინგენტს საქართველოში ყოფნის და მოქმედების უფლება.

ამ ნაბიჯის გადადგმის შედეგიანობას, რომელიც ყველა შემთხვევაში უდავოა (გარანტირებულია), ხელი შეეწყობა საქართველოს გამოსვლით СНГ-დან, რომელშიც იგი შესულია საპარლამენტო პროცედურის დარღვევით.

იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი, მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური მოთხოვნისა, უარს ამბობს თავისი „სამშვიდობო" კონტინგენტის გაყვანაზე საქართველოდან, საქართველო აცხადებს, რომ მის მიმართ ხდება აგრესია, და ღებულობს საჭირო პოლიტიკურსა და სხვა ზომებს.

## 4. არსებული მწვავე მდგომარეობის ჩაცხრობის მიმართულებით

საქართველოს და მისი ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ შიდა ქართლში წარმოებული შეიარაღებული მოქმედების ან მისთვის მზადების ეფექტიანობა შემცირდება რუსეთის შეიარაღებული ძალების გაყვანის შემდეგ. დიდი ალბათობაა იმისა, რომ ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება სეპარატისტებმა ხელი აიღონ თავის განზრახვაზე მოლაპარაკების შედეგად. ვინაიდან მოლაპარაკებას ნაყოფი ექნება მხოლოდ ძალის ფონზე, საჭიროა ეს მოლაპარაკება დიდი სამხედრო უპირატესობის პირობებში ჩატარდეს, რასაც სჭირდება მნიშვნელოვანი წინასწარი ძალისხმევა. მით უფრო დიდი წინასწარი ძალისხმევაა საჭირო სეპარატისტების დასარწმუნებლად იმაში, რომ მათი გეგმები უპერსპექტივოა რუსების მხრიდან ჩუმი დახმარების შემთხვევაშიც. ყოველივეს გათვალისწინებით, ერთადერთი მისაღები ტაქტიკაა ის, რომ შერწყმული იყოს ა) ელასტიური მოლაპარაკება, რომელიც დაემყარება ოსთა საზოგადოებრივი აზრის დინამიკის ზუსტ ცოდნას (საქართველოს მოქალაქეებისასაც და ჩრდილოელებისასაც) და ბ) სამხედრო უპირატესობის მიღწევისთვის მუშაობა.

იმ კონკრეტულ ზომათა შორის, რომლებიც საჭიროა წინასწარ იქნას მიღებული ხსენებულ პირობათა შესაქმნელად, ბევრი ცნობილია, მაგრამ არსებულ ხელისუფლებას ისინი არ განუხორციელებია.

### ეს ზომებია:

### პოლიტიკურ ღონისძიებათაგან:

1. შიდა ქართლის ოსი მოსახლეობისთვის იმის ფართოდ შეტყობინება, როგორ აქვს საქართველოს ხელისუფლებას განსაზღვრული ოსი მოქალაქეების აწმყო და მომავალი საქართველოში (იხ.ზემოთ); ამ საკითხზე ოფიციალური გადაწყვეტილებების მიღება და გამოქვეყნება (ეს ღონისძიება უაღრესად ქმედითია, ვინაიდან შიდა ქართლის ოსი მოსახლეობის დიდი ნაწილი არ უჭერს მხარს სეპარატისტებს).

2. საქართველოს ოსი მოსახლეობის დიდი ნაწილის – შიდა ქართლის გარეთ მაცხოვრებელი ოსების – ფართოდ ჩაბმა ამ და სხვა გასატარებელ ღონისძიებებში. ოსეთის („ჩრდილოეთ ოსეთის") ხელისუფლებასა და საზოგადოებრიობასთან ფართო რეალისტური მოლაპარაკება ოსი ერის და ქართველი ერის ურთიერთობაზე დღეს და მომავალში.

### სამხედრო და პოლიტიკურ ღონისძიებათაგან.

3. გორის სამხედრო ოლქის შექმნა.

4. მიმდგომი რაიონების მოსახლეობის და კონფლიქტის ზონიდან გამოსული მოსახლეობის შემადგენლობიდან რეზერვისტთა შეკრება და სწრაფი გადამზადება.

5. ოსი ეროვნების პირთა (მათ შორის – ცხინვალის ზონაში მაცხოვრებელთა) დიდი მონაწილეობით პოლიციის მნიშვნელოვანი ძალის დაკომპლექტება, რათა შესაძლო ოპერაციის დაწყებისთანავე ოსურ მოსახლეობასთან ყოველდღიური მუშაობა მათ ხელში იყოს

6. დიდი ლიახვის ხეობის ქართულ სოფლებში ადგილობრივი მაცხოვრებლებისგან დაკომპლექტებული პოლიციის შექმნა (იგი არსებობდა, მაგრამ 1992-1993 წლებში დაშალა საქართველოს ხელისუფლებამ).

7. სოფ.ვანათის ზონაში ძლიერი რაზმის ჩაყენება მდ.პატარა ლიახვის ხეობის მოსახლეობის დაცვის მიზნით მასზე თავდასხმის შემთხვევაში.

8. დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირზე სოფ.ერგნეთსა და ოს-ფრისს შორის ასეთივე რაზმის ჩაყენება დიდი ლიახვის სოფლების დაცვის მიზნით; დიდი ლიახვის ხეობისკენ გზის ჩამკეტი პუნქტის – ოს-ფრისის გზის გახსნა იქ პოლიციის ჩაყენების გზით.

### ეკონომიკური სტრატეგიის ღონისძიებათაგან

9. როკის გვირაბიდან გამოსული სატრანზიტო ტრანსპორტის უგამონაკლისოდ დაკავება ბარში ჩამოსვლისთანავე, მისი კონფისკაცია ან უკან გაბრუნება, რათა სეპარატისტ ლიდერებს წაერთვათ გვირაბით მოპოვებული შემოსავლის წყარო

# შიდა ქართლის მდგომარეობის მოგვარების რეალური გზა

## შეხვედრა საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში

სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი ვალერი ჩხეიძე შეხვდა საქართველოში ეუთო-ს მისიის წარმომადგენელს იეანე კოტოვს, მისივე თხოვნით. ამის შესახებ „იფრინდა“-ს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პრეს-ცენტრში აცნობეს.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო სატრანზიტო ტვირთების გატარებას, ზემო ლარსი-ყაზბეგის მონაკვეთზე შექმნილ ვითარებას, დეპარტამენტსა და ეუთო-ს შორის არსებულ ურთიერთთანამშრომლობას და მის შემდგომ გაღრმავებას. ისაუბრეს ასევე ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის, ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე სასაზღვრო ძალების განვითარებაზე, საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარზე, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის 1994 წლის 3 თებერვლის შეთანხმებით, რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის მიერ აღნიშნული საზღვრის მონაკვეთის დაცვის რეალობასა და პერსპექტივებზე. (იფრინდა)

## კოდორის ხეობაში სწავლის დაწყება გადაიდო

როგორც ვიუწყებოდით, კოდორის ხეობაში ახალი სასწავლო წელი გუშინ უნდა დაწყებულიყო.

როგორც „იფრინდა“-ს კორესპონდენტთან საუბარში აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ აკაკი გასვიანმა განაცხადა, კოდორის ხეობაში სწავლის დაწყება 15 დღით გადაიდო. მისი განმარტებით, სასწავლო წლის დაწყების გადადების მიზეზი ის არის, რომ ხეობაში არსებული სკოლების სახურავები ავარიულ მდგომარეობაშია და შეკეთებას საჭიროებს. მისივე თქმით, სხვა მხრივ შეფერხებები არ არის. ხეობაში არსებულ 8 სკოლას დაურიგდა სასწავლო სახელმძღვანელოები. მიმდინარეობს მუშაობა პრეზიდენტის ბრძანებულების შესასრულებლად, რომლის თანახმადაც, სკოლებისათვის შეძენილი უნდა იქნეს ინვენტარი, ხოლო პედაგოგებს დაურიგდეთ ხელფასები.

ა.გასვიანის ინფორმაციით, ხეობამდე მისასვლელი გზა შეკეთებულია და ამ მხრივ შეფერხება არ იქნება. ხეობაში უკვე შეტანილია შაქარი, დღეიდან იწყება ფქვილის, სხვა სასურსათო და პირველადი მოხმარების საგნების შეტანა. აღნიშნული პროცესი სექტემბრის ბოლოსათვის დასრულდება. სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრმა თ.გაზდელიანმა რაიონის მოსახლეობისათვის 10000 ლარი გამოყო. (იფრინდა)

## ოჯახური დავის ნიადაგზე მკვლელობა მოხდა

4 სექტემბერს, ოზურგეთის რაიონის სოფელ ბაღდადში ადგილობრივმა მცხოვრებმა ზურაბ ვლადიმერის ძე დუმბაძემ სანადირო თოფით მოკლა საკუთარი ბიძაშვილი ვლადიმერ აირინის ძე დუმბაძე. როგორც ოზურგეთის პოლიციიდან გვაცნობეს, მკვლელი მიიმალა, მიმდინარეობს გამოძიება. წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ მკვლელობა ოჯახური დავის ნიადაგზე მოხდა. (მოამბე-ექსპრესი)

# გიორგი ქათამაძე: ყალიბდება ნამდვილ მესაკუთრეთა ფენა!..

*მოკლე დოსიე: დაიბადა თბილისში 1948 წლის 6 ოქტომბერს. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.*

*მუშაობდა საერთაშორისო ახალგაზრდული ტურისტული ორგანიზაცია „სპუტნიკის“ თავმჯდომარედ, პარტიის საქარხნო რაიკომის, თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად.*

*მეუღლე, თამარ ბარამიძე, ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი სპეციალისტია.*

*შვილები: პაატა – ისნის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.*

*გიორგი – ახლახან დაასრულა შვედეთის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური კოლეჯი.*

*გამორჩეულად უყვარს ნოდარ დუმბაძისა და ჭაბუა ამირეჯიბის კითხვა.*

*გატაცებულია კალათბურთით.*

*1996 წლის 18 მარტიდან საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივების ცენტრალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარეა.*



*— ბატონო გიორგი, ცნობილია, რომ საქართველოში ოდითგანვე ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა კოოპერაციულმა მოძრაობამ. საბჭოური ეკონომიკის პირობებშიც კი შეძლო მან თავისი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება. თქვენი აზრით, რით აიხსნება ყოველივე ეს?*

– საქართველოში კოოპერაციის ჩანასახები ჯერ კიდევ მე-17 საუკუნიდან შეინიშნებოდა, მე-19 საუკუნის 60–70-იან წლებში კი მან ორგანიზებული ფორმის სახე მიიღო. ქვეყანაში კოოპერაციული მოძრაობის განვითარების საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის ერის სულიერ მამას – ილია ჭავჭავაძეს, აგრეთვე ცნობილ ქართველ მწერალს დიმიტრი მაჩხანელს, მალაქია ტოროშელიძეს და სხვა მოღვაწეებს. მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა ნათლად ხედავდა სამომხმარებლო კოოპერაციის როლს როგორც ჩარჩ-ვაჭრებთან, ისე კაპიტალისტურ მონოპოლიებთან ბრძოლის საქმეში და მშრომელთა ეკონომიკური სიდუხჭირიდან თავის დაღწევის საშუალებად სწორედ კოოპერატივები მიაჩნდა.

*– საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია ყოფილ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უძლიერესი ორგანიზაცია გახლდათ. მისი ობიექტები, ფაქტობრივად, ქმნიდა თანამედროვე ქართული სოფლის იერსახეს. რა მდგომარეობაშია დღეს ეს დიდი ეროვნული სიმდიდრე: შენობა-ნაგებობანი, ძვირად ღირებული და ხშირად სრულიად უნიკალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა?*

– უკანასკნელ წლებში შექმნილმა ურთულესმა პოლიტიკურმა ვითარებამ მძიმე დაღი დაასვა ჩვენს ეკონომიკურ პოტენციალსაც: განადგურდა ობიექტების ერთი ნაწილი, მეორე ნაწილი კი, უმოქმედობის გამო, არასახარბიელო მდგომარეობაშია. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ კოოპერაციამ, ძირითადად, შეინარჩუნა ქონება. ამჟამად მიმდინარეობს წარმოება-ორგანიზაციების აღდგენა-ამოქმედების პროცესი, რაც სულ უფრო მასობრივ ხასიათს იძენს. მჯერა, რომ სისტემა ახლო მომავალში ადრინდელივით ისევ ერთ-ერთი უძლიერესი და უმდიდრესი ორგანიზაცია იქნება.

*– საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც, იურიდიულად, კოოპერაციული ქონება მის მეპაიეთა საკუთრებას წარმოადგენდა, მაგრამ ეს ასე მხოლოდ ქაღალდზე იყო. სინამდვილეში, ცეკავშირის სისტემის საწარმოები არაფრით განსხვავდებოდა სახელმწიფო ობიექტებისაგან. რა მდგომარეობაა ამჟამად?*

– მართალი ბრძანდებით. სოციალიზმის სამოცდაათწლიანმა ისტორიამ მნიშვნელოვნად დაამახინჯა კოოპერატიული ორგანიზაციის ბუნება და იგი სახელმწიფოს საწარმოს ერთ-ერთ სახესხვაობად აქცია. დღეს თანმიმდევრული ღონისძიებები ხორციელდება ვითარების გამოსასწორებლად: დაიწყო ნამდვილ მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბება, რეგიონებში ხელახალ რეგისტრაციას გადიან მეპაიები, ამასთანავე, სისტემა თავისუფლდება ზედმეტი, გამოუყენებელი, არარენტაბელური ობიექტებისაგან. ვყიდით გამოუყენებელსა და ზედმეტს, სისტემისათვის პირველ რიგში საჭირო ობიექტების ასამოქმედებლად.

*– ე.წ. საბჭოთა კოოპერაციამ ისე დალია ჩაილურის წყალი, ფიქრადაც არასოდეს მოსვლიათ სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგებიდან რაიმე ეწილადებინათ მეპაიეებისათვის. დღეს როგორაა საქმე, იღებს თუ არა მეპაიე თავისი პაიდან სარგებელს?*

– მეპაიეებზე დივიდენდების განაწილება კოოპერაციული ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა, მაგრამ წინათ, უმეტეს შემთხვევაში, მოგება არ ნაწილდებოდა მეპაიეებზე და იგი მთლიანად სისტემის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებას ხმარდებოდა. ახლა მდგომარეობა თანდათან სწორდება. მეპაიეებს აქვთ დივიდენდის მიღების ყველა შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, თუ სამეურნეო საქმიანობის შედეგები მათ ამის საშუალებას აძლევს.

*– იქნებ ორიოდე სიტყვით გვითხრათ, რას წარმოადგენს სადღეისოდ ჩვენი სამომხმარებლო კოოპერაცია, როგორია მისი წყობა, ცენტრალური და რეგიონული სტრუქტურები, რით განსხვავდება იგი ადრინდელი ცეკავშირისგან?*

– ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებამ გარდუვალად მოითხოვა ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბება, აქტიურად მიმდინარეობს რეფორმები ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, იურიდიული სტატუსის განსაზღვრის, აგრეთვე ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის მიმართულებით. ძირეულ რგოლებში უმთავრესად რაიონული კოოპერატივები ყალიბდება, უქმდება სოფლის მომხმარებელთა საზოგადოებები და მათ ბაზაზე კოოპერატივის ფილიალები იქმნება. ფილიალებად გარდაიქმნება, აგრეთვე, რაიონულ კოოპერატივებში შემავალი სამეურნეო ერთეულები: პურკომბინატები, საზოგადოებრივი კვების გაერთიანებები, სავაჭრო ცენტრები. რესპუბლიკური და საოლქო ორგანიზაციები იმუშავებენ კოოპერაციული კავშირის ფორმით და ექნებათ იურიდიული სტატუსი.

რაიონული ორგანიზაციების სახელმწიფო რეგისტრაციის დამთავრების შემდეგ ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით – კოოპერატივების კავშირის სახით დაფუძნდება „ცეკავშირი“, რომელიც სამომხმარებლო კოოპერაციისა და მეწარმეთა შესახებ კანონების მოთხოვნათა შესაბამისად, სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების ფორმით ჩამოაყალიბებს დარგობრივ ორგანიზაციებს.

მნიშვნელოვანი სიახლეა ისიც, რომ, თუ წინათ ორგანიზაციები მთელი თავიანთი ქონებით ცეკავშირის გამგეობას ექვემდებარებოდა, ამჟამად ქონება შრომითი კოლექტივის წევრებზე ნაწილდება კერძოდ, განაწილდება ქონების 49 პროცენტი: აქედან 10 პროცენტი უფასოდ დაურიგდებათ, ხოლო 39 პროცენტი გამოსყიდვის წესით მიეყიდებათ მეპაიეებს, ქონების 51 პროცენტი კი საერთო გამგებლობაში დარჩება.

*– კოოპერაციის შესახებ კანონის მიღების შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა. ხომ არ გვეტყოდით, როგორ დაიწყო კანონმა მუშაობა, უკვე ხომ არ დგას მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საჭიროება?*

– კანონი სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ წლეულს, 14 მაისს ამოქმედდა. კოოპერაციის შესახებ ადრე არსებული ნორმატიული აქტების ახალ კანონთან შესაბამისობაში მოსაყვანად მოსამზადებელი სამუშაოები ჯერ კიდევ მის მოქმედებაში შესვლამდე განხორციელდა: შემუშავდა რაიონული რგოლის – რაიკოოპერატივის, დარგობრივი ორგანიზაციების სანიმუშო წესდებები, არჩევნების ჩატარების მეთოდიკა, დებულება ქონების განაწილების შესახებ და სხვ. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა კოოპერაციულ ორგანიზაციათა რეგისტრაციაში გასატარებლად, აგრეთვე, სამომხმარებლო კოოპერაციის XXII ყრილობის მოსამზადებლად, რომელიც წლეულს ოქტომბერში გაიმართება.

*– დღევანდელი ცეკავშირიც ადრინდელივით ულტერნატივო, მონოპოლიური ორგანიზაციაა, რომელიც თავის რიგებში ტერიტორიული, დარგობრივი, პროფესიული და სხვა მონაცემების მიხედვით ყველა კოოპერატივს აერთიანებს. თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება ეს ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას და, საერთოდ, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს?*

– ხაზგასმით მინდა განვაცხადო: კოოპერაციის საწესდებო მოთხოვნაა აქტიური სოლიდური პოლიტიკის განხორციელება და მოსახლეობის, როგორც მომხმარებლის ინტერესების დაცვა. ამასთანავე, კოოპერაცია მესაკუთრეთა მასობრივი ორგანიზაციაა. იგი თავიდანვე შეიქმნა როგორც მონოპოლიის ალტერნატიული, მის წინააღმდეგ მიმართული ორგანიზაცია. მწამს, რომ ჩვენი კოოპერაცია უთუოდ შეასრულებს ამ კეთილშობილურ მისიას!..

*– საქართველოს კოოპერაცია ჯერ კიდევ საბჭოურ ხანაში იყო საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის წევრი. რა სარგებლობა მოჰქონდა და მოაქვს ამას ჩვენი კოოპერატორებისათვის და დამოუკიდებლობის მოპოვებამ რამდენად შეუწყო ხელი საგარეო კოოპერაციული კავშირების გაფართოებას?*

– საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია 1990 წლიდანაა მსოფლიო კოოპერაციული ალიანსის წევრი. 1927 წელს საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ჩვენი ორგანიზაცია საერთაშორისო ალიანსში ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრის ერთიანი ქვოტით იყო წარმოდგენილი. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მან აღიდგინა თავისთავადი წევრობა.

ალიანსში ყოფნა საშუალებას გვაძლევს აქტიურად ჩავერთოთ მსოფლიო კოოპერაციულ მოძრაობაში, ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური კავშირები დავამყაროთ სხვა ქვეყნების კოოპერაციულ ორგანიზაციებთან, შევქმნათ მათთან ერთად ერთობლივი საწარმოები, მოვიზიდოთ უცხოური ინვესტიციები და სხვ. სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ მოიხსნა ყველა ბარიერი, რომლებიც სხვა ქვეყნების კოოპერაციულ ორგანიზაციებთან ინტეგრაციის გზაზე არსებობდა. თუ წინათ მხოლოდ მოსკოვის საშუალებით ვამყარებდით საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებს, დღეს დამოუკიდებელ საქართველოს ორმოცამდე ქვეყანასთან აქვს პირდაპირი კავშირი. ჩვენი პარტნიორები არიან: აშშ-ის, კანადის, გერმანიის, იტალიის, საბერძნეთის, შვედეთის, თურქეთის, უნგრეთის, ბულგარეთისა და სხვა ქვეყნების კოოპერატორები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კოოპერაციული ორგანიზაციები ყველა განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებენ და მათი ეკონომიკის მეტად მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავენ. მაგალითად, ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის სოფლის მეურნეობის პროდუქციის 50-60 პროცენტს კოოპერატივები აწარმოებენ. კოოპერაციას წამყვანი ადგილი უჭირავს შვედეთის ეკონომიკაშიც. იგი ასევე ფართოდაა წარმოდგენილი აშშ-ს ეკონომიკაშიც. სულ უფრო აქტიურად ფუნქციონირებენ საერთაშორისო კოოპერატიული ორგანიზაციები. ჯერ კიდევ 1947 წელს შეიქმნა ნავთობის საერთაშორისო კოოპერაციული ასოციაცია, რომელშიც გაერთიანებული არიან ევროპის განვითარებული ქვეყნებისა და აშშ-ს ოცზე მეტი ქვეყნის კოოპერატორები.

*– ჩვენი სოფლის მშრომელები რომ არ გადაჩვევიან მუშაობას, ამას მათი მოწეული უხვი მოსავალიც მოწმობს. სამწუხაროდ, ეს დოვლათი ხშირად ვერ აღწევს ქალაქელებამდე. ჭირს ტრანსპორტირება, ძვირია გადაზიდვა, ზოგჯერ გლეხს სამგზავრო ფულიც არა აქვს. ინერგება თუ არა ახლებური, საბაზრო ეკონომიკისათვის შესატყვისი აგროსავაჭრო სერვისი?*

– დღეს სოფლის მშრომელები თვითონვე ირჩევენ მყიდველს, აწესებენ ფასებს, პარტნიორებთან ურთიერთობის პირობებს. ასე როდი გახლდათ წინათ. ამიტომ ვეძებთ მათთან თანამშრომლობის ახალ ფორმებს. ვდებთ მათთან ხელშეკრულებას იმის თაობაზე, თუ რა რაოდენობის პროდუქტს შევიძენთ და რა ფორმით ავუნაზღაურებთ, ნაღდი ანგარიშსწორებით თუ ნატურით, აგრეთვე, ერთობლივად წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგებიდან წილის მიცემით.

*– ცეკავშირის სათავეში თქვენი მოსვლიდან ზუსტად წელიწადნახევარი გავიდა. რისი გაკეთება მოახერხეთ ამ ხნის განმავლობაში, რაზე მუშაობთ ამჟამად, რა პრობლემებს აწყდებით და, საერთოდ, რამდენად სამართლიანი არიან თქვენი ოპონენტები, რომლებიც ამბობენ, თითქოს თავმჯდომარედ თქვენი დანიშვნის შემდეგ შეწყდა სისტემის რეფორმირების პროცესი?*

– ერთი შეხედვით, მართლაც შეიძლება ითქვას, რომ გარდაქმნები სამომხმარებლო კოოპერაციაში ერთგვარად შენელებული იყო, მაგრამ ამას ჩემს დანიშვნასთან საერთო არაფერი ჰქონდა. იგი განაპირობა

გაგრძელება მე-8 გვ.

# სატირისა და იუმორის გვერდი

# წუთშესვენება

რკინიგზის რელსზე ზის ორი პომიდორი. ერთი ამბობს – აქ ჯდომა საშიშია. ახლა მატარებელი გამოივლის და გაგვჭყლიტავს.

მეორემ უპასუხა:

– არ გაგვჭყ–



ქუთაისში ოთხი ნომერი ტროლეიბუსი ბოლო გაჩერებამდე როგორც იქნა მიბობღდა. მგზავრები სათითაოდ ჩადიან მდუმარედ. ფულს არავინ არ იხდის. მძღოლიც მდუმარედ დგას და აცილებს თითოეულ მათგანს. ნახევარი ხალხი რომ ჩავიდა, მერე ამოიღო ხმა:

– პანაშვიდზე თუ გგონიათ თავი, თქვე კაი ხალხო, ხელი მაინც ჩამომართვით.



ორი ძმაკაცი ხვდება ერთმანეთს. ერთს ხელში თოთო ბავშვი უკავია და სახე ჩამოსტირის. გადაეხვივნენ ერთმანეთს, მოიკითხეს. შემდეგ მეორემ ჭმუნვის მიზეზი ჰკითხა:

– ბავშვი მეყოლა, მაგრამ, რა არის, იცი, მხოლოდ ყურია, მეტი არაფერიო.

მეგობარმა გული არ გაუტეხა და ტაქტიანად მიეალერსა პირმშოს: – რა მოხდა მერე, აბა აღუთქვი, პატარა ყაჩაღო.

– ცოტა ხმამაღლა უთხარი, რა, ყრუა, – დააკვალიანა ყურის მამამ.



ბრალდებული ამბობს სასამართლო პროცესზე:

– ბატონო მოსამართლევ, პროკურორმა მოითხოვა თხუთმეტი წელი. ჰოდა, რაკი მოითხოვა, მიეცით მაგას ეგ თხუთმეტი წელი, მე კი გამიშვით სახლში. ასე აჯობებს.



### „კორუმპიადა“

გაცვეთილი აქციაა,
კაპიკად არ ღირებული,
როცა კორუფციას
ებრძვის –
ხალხი კორუმპირებული...

### „ავტონომია“

„ავტონომია“ კეთდება
დამპყრობლის ნების
სათმენლად,
ეკალ–მავთულის
სარტყმელად,
მისი ბაზების სადგმელად.
ავის ადვილად საქმნელად,
ერთობის ძირის სათხრელად,
ჩვენი და უცხო ჯილაგის
„ფეოდალების“ სახვრელად.
ნელი სიკვდილის
პროგრამად
შვილთათვის თავში
სახლელად,
მუდმივი შუღლის
ბუდედ და
მუდმივად სისხლის
საღვრელად.
ავტონომია ომია
ჩვენი ცოდვების სასჯელად
ჩვენი სიცოცხლის უნარის
გასარკვევ –
გამოსაცდელად.
„ავტონომია“ სივდება
რუსის ჩექმებით სათელად,
სრულიად საქართველოში
ქართულის ველარ
სათქმელად.
და თუ რაც დაგვრჩა
ვაძლიეთ
მოსახლეჩ–ჩამოსათლელად,
„ადგილნაცვლებად“ ვიქეცით
ადვილად თავში
სარტყმელად,
სამშობლოს დასაფლავების
ლაჩრულ–მუნჯურად
მაცქერლად.
მოვა შავბნელი შედეგი
ადვილი, გამოსათვლელად
და მალე აღარც
დაგვრჩება
ადგილი გამოსაცვლელად!

### „ანტიმიტინგიni“

*(ანუ მარში და დემარში)*

როცა საშიშ პიკს
მიაღწევს
შიმშილი მთა და ბარში
როცა ყველაზე მომთმენიც
გამოვარდება კარში,
უმართავი რომ არ გახდეს
დემონსტრანტების მარში,
მაძღარ მთავრობას,
მშიერით
დემარშით ცვლიან მაშინ.

### პარადოქსი

ის ვინც უნდა მისი დონით
ღორთან ებას, ვირთან ებას
სავარძელში ჩამჯდარა და
აბურთავებს ვითარებას.

### ტირანია თუ დემოკრატია?!

სადაც „ქრთამთან
ბრძოლის“ საქმე
მექრთამეებს აბარია
აღებ–მიცემობით ხდება
საარჩევნო კამპანია
სადაც ბევრი ნარკომანი
და არაყით დამბალია
სადაც „ზნეობის
ინდექსი“
საშიშ ზღვარზე დაბალია
სადაც ლოცვა ფარსია და
სანთლის ყალბად
პარპალია
იქ „მოდელი“ ყოველგვარი
ერთნაირად დამპალია.

**რუსლან მიქაბერიძე**



არც [illegible]
[illegible]ილომა,
არც [illegible]მის
ღ?ნამა,
მიშველა ისევ
სიცილმა,
ლაქარდიანმა
ენამა

ერთი პატიმარი ეუბნება მეორეს:

– ხვალ ჩვენთან იუსტიციის მინისტრი მოდის.

– მართლა? რა დააშავა ასეთი?



ჭიჭიკია ამბობს:

– კაი დრო იყო, სიმონ, კომუნისტების. ბიჭი ჯარისკაცობანას თამაშობდა, გოგო თოჯინებს ეთამაშებოდა. რაც ქვეყანა აირია, გეიზარდნენ და ყველაფერი პირიქითაა.



ერთი პატიმარი ზონაში ავადმყოფობის მიზეზად ქავილს ასახელებდა, გინდა თუ არა მეფხანებაო. უბრალოდ, მუშაობა არ უნდოდა. შვიდი კომისია ჩაუტარეს, უშედეგოდ. მერვეს თვით ზონის უფროსი დაესწრო და ბოლოს ჰკითხა: – რამდენი წელი გაქვს ბიძიკო შენ? – შვიდი, უფროსო. – მერე იფხანე და იყავი, რა გააჭირე საქმე?



# ოჯახურ ინტიმზე თქმული

ღიმილ–სიცილ–ხარხარი,
სულის საღილ–ვახშამიათ.
(ვ.ჯ.)

* ნიკომ ტვინს უხმო და ნიკოტინს უხმოდ მოეშვაო.

* რუსიკოზე შეყვარებულ ქიმიკოსს ურჩიეს – ბარემ რუსულიც ფუძიანად შეისწავლე და რუსიკოსიც გახდებიო.

* შენ შედეგი მითხარ, თორემ ორი ძმიდან ერთი შეიძლება კაიკაციშვილი იყოს, მეორე – ვაიკაციშვილიო.

* ცოლ–ქმრის ურთიერთდამთმობი ხასიათი და მანქანის ამორტიზაცია საჭიროცაა და სასარგებლოცაო.

* ერთი კაცი იმდენად მიჩვეული იყო „ჩემი შენსას სჯობიანო“, რომ ცოლსაც კი წაუტრაბახა, „ჩემი ცოლი შენ ქმარს სჯობიანო“.

* არც ერთს არა აქვს მადლი: თუ კოცნის დროს საქმეზე ფიქრობ, ან საქმის დროს კოცნაზეო.

* ცოლ–ქმრის დილის ზვავიო, სალამოთი – ზავიო.

* ქმარმა მზრუნველობა გამოიჩინა: ქალო, მშიერი ნუ წვებიო, და – სჯობიან, შენ იმაზე იზრუნო – მშიერი არ ავდგეო.

* ცოლქმრობაში, გრამფირფიტასი არ იყოს, მისალოცია, თუ ორივე მხარე ვარგაო.

* საბრალოა მხოლოდ ქმარი ეული, დედისა და ცოლშუა მოქცეული.

* შინაბერა რომ გაბეზრდა და საყვარლობა იკისრა – ეს ქვეყანა იმიტომ მათხოვეს, რომ კიდეც ვისიამოვნო, თორემ რას მიქვიან: „დამ დას ნიფხავი ათხოვა და დუნდულები არ ჩაყოო“.

* ჩხუბიდან დაბრუნებულ ქმარს უსაყვედურა ცოლმა – რომ უძახდი, „იმასაც“ ვერ მომჭამთო, ერთი ენახოთ და მოეჭამათო.


გ. აბაშიძის ნახატი

* ქორწილი რომ ორ დღეღამეს გაგრძელდა, პატარძალმა იკივლა – ხალხო! თუ მაორსულებთ, დამაორსულეთ, თუ არა და, მეძინებაო.

* მონადირემ რომ დათვთან ჭიდილში თითი დაკარგა, ცოლმა გაიხარა – კიდევ კარგი, ის „თითი“ საღ–სალამათად მოგყვაო.

* სხვა შარი ყველა სჯობიან, აშარი ცოლის ყოლასო.

* ცოლმა უსაყვედურა ქმარს – რაზე დამლუპე: „შენი ჭირიმეს“ გეუბნეოდი ხოლმე, „სხვისი ჭირიმე“ ხომ არ მითქვიაო.

* „ქალისამ“ გაიკვირვა – ყველაზე მოფარებულ–მოჩრდილულ და საიდუმლო–საიმედო ადგილას ვარ მიყუჩული და ეს ოხერი „კაცისა“ მაინც მომაგნებს ხოლმეო.

* ცოლმა შესჩივლა ქმარს – ჩვენი ტელევიზორი მხოლოდ უჩვენებს, ხმას კი არ იღებსო, და – ნეტავ შენ დაგმართოდა ეგ ამბავიო.

* ქალში რომ კდემა კვდება, თვით ქალის სიკვდილსაც ნიშნავსო.

* საავადმყოფოში მომუშავე შინაბერა ექთანს ჰკითხეს – საკაცე თუ გაქვსო, და – შენ ამწევი მითხარ, თორემ საკაცე როგორ არა მაქვსო...

**ვახტანგ ჯავრიშვილი**

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება ორსართულიანი კერძო სახლი, ხეხილიანი ეზოთი. ნაძალადევის რ-ნის კომისარიატთან ახლოს ბახვაძის ქ.№6 ფასი 5500$ ტელ. 32-62-04

იყიდება სასწრაფოდ 1 ოთახიანი იზოლირებული სუფთა ბინა თემქის მე-11 მ/რ (8X4) დიდი აივნით. ფასი 3000 დოლარი. ტელ. 96-92-47

იყიდება საბურთალოზე 3 ოთახიანი ბინა 76 კვ.მ, ჭერი 2.70, VII სართულზე. ფასი შეთანხმებით. მის. ნუცუბიძის ქ.№211 კორპ. 14. სად. I. ბინა 19

იყიდება 1 ოთახიანი იზოლირებული ბინა სამგორის მეტროსთან, ეთილუღის ბაზრის მხარეს, II სართული. ტელეფონით, სარდაფით. ტელ. 63-22-48

სასწრაფოდ იყიდება რუსთავში ერთოთახიანი ბინა, ფასი 1000$ ტელ. 63-63-25 ჰენრი ან ხატია

იყიდება რუსთაველის გამზირზე არასტანდარტული 2 ოთახიანი ბინა, კეთილმოწყობილი, საერთო ფართი 101 კვ.მ, ფასი 60000$ ტელ. 98-66-49

იყიდება თუხარელის პროექტის ოთხნახევრიანი სუფთა ბინა რკინის კარით, 14 სართულიანის მე-6 სართულზე. საწყისი ფასი 6000$ მის. დიდი დიღომი დემეტრე თავდადებულის ქ.№24 ტელ. 32-79-10 ზაზა

იყიდება ოთხოთახიანი ტელეფონიანი ბინა მთაწმინდაზე, იტალიურ ეზოში, შესასვლელი სადარბაზოდან, სამსართულიანის მესამე სართულზე. ფასი 18000$ ტელ. 64-38-31; 63-00-78

იყიდება 2 ოთახიანი ბინა გადაკეთებული 2,5 8 სართულიანის მე-4 სართულზე. სველი წერტილებით და ახალი პარკეტით. საწყისი ფასი 14000$ ტელ. 52-26-02

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ლოჯიით, ტელეფონით, 8 სართულიანის მე-8 სართულზე. კინო „საქართველოსთან" რკინის კარით, ფასი 10000$ ტელ. 61-71-46 ნანა

იყიდება 3 ოთახიანი ბინა, ახალი რემონტით, საერთო ფართი 80 კვ.მ, ტელეფონით, კაპიტალური ავტოსადგომით. სარდაფით, 2 აივნით. ტელ. 32-25-83 მის. ნუცუბიძის ქ 211, კორპ. 4, სად. I, მე-6 სართული, ოთახი 16. ფასი შეთანხმებით.

სასწრაფოდ იყიდება 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი კვესეთში. ფასი შეთანხმებით. ტელ. 29-09-09

იყიდება კეთილმოწყობილი საკუთარი სახლი ბელეტაჟზე ორთაჭალაში. საცხოვრებელი ფართი 80 კვ.მ, აქვს იზოლირებული საკუთარი ეზო, ავტოფარეხი, ტელეფონი და დიდი სარდაფი. ფასი 32000 დოლარი. ტელ. 72-26-31

სასწრაფოდ იყიდება სამი ნაკვეთი 0.7ჰა, 1,5 ჰა, 2,5 ჰა ფართობებით. ნაკვეთებში არის სასმელი წყალი, აგრეთვე სარწყავი და დენი. მცხეთის რ-ნი, სოფელი ნავდარაანთკარი. კობაიძე გურამი. ტელ. 62-11-64 ლია

იყიდება ოროთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე იტალიურ ეზოში. დადიანის ქ.№13 ფასი 13000$ ტელ. 22-23-32 მანანა

იყიდება ოთხოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა დიღმის მასივში ცხრასართულიანი სახლის მე-9 სართულზე, ტელეფონით, ორი მანქანის გასაჩერებელი ფარეხით ფასი 30000$ ტელ. 52-76-37 ნანა

იყიდება სანზონაში, მეტროსთან ახლოს, ერთოთახიანი ბინა, გადაკეთებული ოთახნახევრიანი, რემონტით, გადიდებული სამზარეულოთი სარდაფით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 61-97-45

იყიდება ოროთახიანი ბინა დახურული შუშაბანდით, ღია აივნით საერთო ფართი 44 კვ.მ, სარდაფით, ტელეფონით, იტალიური ეზოს III სართულზე. მეტრო „მარჯანიშვილთან", ფასი შეთანხმებით. ტელ. 23-09-91

იყიდება ოროთახიანი გარემონტებული არასტანდარტული ბინა მუშტაიდის ბაღთან. საერთო ფართი 70 კვ.მ, დენი და წყალი მუდმივად. საწყისი ფასი 18000$ ტელ. 38-01-11

იყიდება 3 ოთახიანი არასტანდარტული ბინა ნუცუბიძის III მ-ში, გამგეობასთან. პირველ სართულზე, ტელეფონით, სარდაფით და ცხელი წყლით. საერთო ფართი 80 კვ.მ, საწყისი ფასი 20000$ ტელ. 38-01-11

იყიდება ოროთახნახევრიანად გადაკეთებული ჩეხური პროექტის ახლად გარემონტებული ბინა, აქვს საკუთარი საკუჭნაო და სარდაფის მოსაწყობი ფართი. ფასი შეთანხმებით. მისამართი: ნუცუბიძის III მ/რ I. კვ. IV კორპ. ბ.№12 ტელ. 32-25-99

## სხვადასხვა

იყიდება ექვსი ნაწილისაგან შემდგარი ასაწყობი ბუხარი. ფასი 250$ რკინის კარადა - 100 ლარი. ბაზალტის ფილები 1 კვ.მ 25 ლარი. ტელ. 32-62-04 თამაზი

იყიდება ავეჯი „რენესანსი" მუქი შინდისფერი, ფასი 4000$ ტელ. 52-76-37

სასწრაფოდ იყიდება პიანინო „როსტოვ-დონი" ფასი 200 დოლარი, ვიდეომაგნიტოფონი ფასი 200 დოლარი, ცომის გასაბრტყელებელი დანადგარი - ფასი 250 დოლარი ტელ. 29-09-09

იყიდება ბუშლატი (ტელეგრეიკა - დაბამბული ჯუბა) ნებისმიერი რაოდენობით, ფასი ზომების მიხედვით 12-15 ლარი. ტელ. 31-16-87; 73-02-69 ირაკლი; 38-03-17; 38-21-48 გოჩა

ვბეჭდავ ნებისმიერ ნაშრომს შეღავათიან ფასებში. ტელ. 73-31-87 სვეტა

იყიდება პიანინო „უკრაინა", შავი ფერის. ფასი 300$ ტელ. 32-25-83

იყიდება ტექნიკური ენციკლოპედია, 24 ტომი, რუსულ ენაზე. ფასი 100 ლარი. მაცივარი „ზილ" - ფასი 100 ლარი, კაკლის ხის ბუფეტი, ფასი - 700 ლარი. ტელ. 22-23-32 მანანა

იყიდება ახალი შესადუღებელი აპარატი „შარფი". ფასი 420 ლარი. ტელ. 33-34-77

იყიდება ქეთევან ნუცუბიძის წიგნი „შალვა ნუცუბიძე" - ფასი 10 ლარი. ტელ. 60-84-09

იყიდება საძინებელი „ლუდოვიკო" თეთრი ფასი 1200$ ტელ. 52-76-37 ნანა

იყიდება „ფილიპსის" გამოშვება წვენსაწური რუმინული კედელი და გერმანული სამეული. ისრაელის გამოშვება, მრგვალი პლასტმასის მაგიდა. ფასი შეთანხმებით ტელ. 61-97-45

იყიდება ფართი 100 კვ.მ, გამოდგება ოფისისთვის, მაღაზიისთვის. მის. რუსთაველის 34, არკაში. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-23-32

იყიდება ახალი პიანინო „პეტროვი". ფასი 800$ ტელ. 38-15-02

იყიდება კაპიტალური ნახევარსარდაფი 40 კვ.მ ფართობით,ალმაშენებლის მოედანთან. საწყისი ფასი 8000$ ტელ. 38-01-11

იყიდება კეთილმოწყობილი მაღაზია თავისი ინვენტარით. ფართი 200 კვ.მ, აქვს საწყობი ლიფტით. ფართი 250 კვ.მ, ფასი 35000 დოლარი. ტელ. 72-26-31

ვმკურნალობ მეტყველების მძიმე დარღვევების მქონე ბავშვებსა და მოზარდებს. აღვუდგენ მეტყველებას, ბინაზე მისვლით. ტელ. 22-31-48; 52-36-98

იყიდება რუმინული სამზარეულო - ფასი 1200 დოლარი, იაპონური ტელევიზორი „პანასონიკი„ 72 დიაგონალი ფასი 1600 დოლარი, იაპონური ვიდეომაგნიტოფონი ფასი 500 დოლარი. ამერიკული მობილური ტელეფონი „მოტოროლა" კომპიუტერით, აქვს დამატებით ორი ბატარეა - ფასი 1200 დოლარი. კონდინციონერი ფასი 150 დოლარი, ტელევიზორი „იუნოსტი" 406 დეციმეტრი, შავ-თეთრი, ფასი 150 დოლარი; ფეხით საკერავი მანქანა „პოდოლსკი" - ფასი 150 დოლარი, წყლის გამაცხელებელი ატმორი ისრაელის გამოშვება - ფასი 100 დოლარი. ტრანზისტორი „ოკეანე" მუშაობს ელემენტებზე და 220 ვოლტზე - ფასი 60 დოლარი. ტელ. 72-26-31

## შევისყიდი

შევისყიდი გერმანული წარმოების გიტარას შეღავათიან ფასებში. ტელ. 64-76-77 მაიკო

## ავტომანქანა

იყიდება ავტომანქანა „ფოლკსვაგენი". კარგ მდგომარეობაში. ფასი 1300$ ტელ. 38-15-02

სასწრაფოდ იყიდება ავტომანქანა „ნისან-პატრული", გამოშვებული 1992 წლის დეკემბერში. საჭიროებს ძრავის შეკეთებას. ფასი 8500 დოლარი. ტელ. 60-60-43; 61-00-54; 61-70-59 ზვიადი

იყიდება ავტომანქანა „ნისან-სანი", წითელი ფერის, 1986 წლის გამოშვება, კარგ მდგომარეობაში, საწყისი ფასი 2500$ ტელ, 99-69-28 იკითხეთ მაია.

## ქირავდება

ქირავდება 3 ოთახიანი გარემონტებული, კეთილმოწყობილი ბინა მეტრო „სამედიცინოსთან". ავეჯით და ცხელი წყლით. ფასი 500$ ტელ. 38-01-11

## ვცვლი

ვცვლი 3 ოთახიან და ოთახ-ნახევრიან ბინას ერთ ბინაზე. ტელ. 73-02-69

## მოვუვლი

ვარ საბავშო ბაღის აღმზრდელი. მოვუვლი 2-დან 6 წლამდე ბავშვს ტელ. 95-05-80

მოვუვლი ბავშვს სამი წლის ასაკიდან. ტელ. 99-73-68

## ვამზადებ

შევასწავლი გიტარაზე სიმღერების დაკვრას ნებისმიერი ასაკის მსურველებს ფასი შეთანხმებით. ტელ. 64-76-77 მაიკო

მოვამზადებ აბიტურიენტებს და მოსწავლეებს საქ.ისტორიაში. ერთ წლიანი ან 2 წლიანი კურსით, ფასი შეთანხმებით. ტელ. 32-01-85

მოვამზადებ მოსწავლეებს მათემატიკასა და ფიზიკაში როგორ ქართულ, ისე რუსულ ენაზე. შესაძლებელია ბინაზე მისვლაც. ტელ. 34-74-50 ირაკლი

მოვამზადებ მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, სტუდენტებს ინგლისურ ენაში. ტელ. 31-16-87 ხატია. გერმანულ ენაში - 36-09-48 ლია

გამოცდილი მასწავლებელი ვამზადებ დაწყებითი კლასის მოსწავლეებს ყველა საგანში ძალიან იაფად. ტელ. 67-25-37

ვამზადებ ბავშვებს როგორც სახლში მისვლით, ასევე ბინაზე. შევასწავლი ფორტეპიანოს და საესტრადო სიმღერებს, შეღავათიან ფასში. ტელ. 35-01-86 თეა, ნონა

ვამზადებ ინგლისურ ენაში აბიტურიენტებს და სკოლის მოსწავლეებს, აგრეთვე ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს, საზღვარგარეთ გამოცემულ ლიტერატურაზე დაყრდნობით შეღავათიან ფასებში ტელ. 30-76-13 თეა

ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს
დაგვირეკეთ: 93-18-41

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია და საქართველოს სახალხო ფრონტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ვახტანგ (ვასო) ჯამლედიანი**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# „ჟურნალისტები მშვიდობიანი კავკასიისათვის"

მშვიდობიანი გზით რეგიონული კონფლიქტების მოგვარების მიზნით მას-მედიის თანამშრომლობის პროფესიონალიზმის ამაღლებისა და სოციალური პასუხისმგებლობისათვის, საერთაშორისო რუსულენოვანი ჟურნალისტების ასოციაცია ამიერკავკასიაში 1997 წლის მონაცემების მიხედვით აცხადებს ჟურნალისტთა შემოქმედებით კონკურსს დევიზით: „მშვიდობიანი კავკასიისათვის". კონკურსს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ 15 სახელმწიფოს პრეტენდენტები, ამიერკავკასიის და ჩრდილო კავკასიის ოლქები და მხარეები, ჩატარდება ორ ტურად. პირველი ტურის (ნაციონალური) გამარჯვებულები გავლენ მეორე ტურში, სადაც საერთაშორისო ჟიური გამოავლენს გამარჯვებულებს. საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებულ ჟურნალისტებს, დევიზით: „მშვიდობიანი კავკასიისათვის" ელოდებათ ლაურეატის დიპლომები, ფულადი პრიზები 500 დოლარის ფარგლებში თითოეულ ნომინაციაზე, აგრეთვე სპეციალური და ფასიანი პრიზები.

საერთაშორისო კონკურსის თანადამფუძნებლად, ფულადი პრემიების და სპეციალური პრიზების დამფუძნებლად გვევლინებიან: რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის ადმინისტრაცია, ედუარდ შევარდნაძის ფონდი, რუსეთის ჟურნალისტთა კავშირი, მოსკოვის ეკონომიკის, პოლიტიკის და სამართლის ინსტიტუტი, ერთობლივი ამერიკულ-ქართული „აბსოლუტბანკი", მთელი რიგი სხვა საერთაშორისო, რეგიონული და ნაციონალური ორგანიზაციები. კონკურსს მხარს უჭერენ გაეროს და ევროკავშირის რეგიონული სტრუქტურები. კონკურსი დალოცეს და აკურთხეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, მთავარმა რაბინმა არიელ ლევინმა, რომის პაპის ნუნციმ, სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს არქიეპისკოპოსმა ჟან პოლ გობელმა, სხვადასხვა სარწმუნოების იერარქებმა.

კონკურსზე წარმოდგენილი მასალები მიიღება 1997 წლის 1 დეკემბრამდე. შემაჯამებელი ცერემონიალი გაიმართება თბილისში, 1998 წლის იანვარში, ყველა მონაწილის მოწვევით.

*საორგანიზაციო კომიტეტის მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, რ.თაბუკაშვილის ქ.№27 ტელ. (8832) 93-16-74, 99-03-20 ფაქსი (8832) 92-25-55*

აუდიტ სერვისი EXPRESS AUDIT service

აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

**ექსპრეს-აუდიტ სერვისი**

ლიცენზირებულია №091

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება. 2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები. 3. ქონების შეფასება. 4. ბუღალტრული მომსახურება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93-15-89

რეკლამა ჩვენთან



თქვენი საქმიანობის წარმატების საწინდარია!

დაგვირეკეთ

93-18-41

საქართველო

# ლატარეა ყველასათვის

## 5 სექტემბერს გამართულ 35-ე ტირაჟში „ლატარია ყველასათვის" მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

| | |
|---|---|
| 5000 ლარი – 107021; | 90 ლარი – *97341; |
| 1000 ლარი – 531926; | 80 ლარი – *39690; |
| 900 ლარი – 362990; | 80 ლარი – *16698; |
| 800 ლარი – 270595; | 70 ლარი – *96070; |
| 700 ლარი – 330116; | 70 ლარი – *04632; |
| 600 ლარი – 146371; | 60 ლარი – *12547; |
| 500 ლარი – 426809; | 60 ლარი – *19078; |
| 500 ლარი – 397654; | 50 ლარი – *64825; |
| 400 ლარი – 437253; | 50 ლარი – *80965; |
| 400 ლარი – 405173; | 40 ლარი – *82832; |
| 300 ლარი – 282096; | 40 ლარი – *42345; |
| 300 ლარი – 151938; | 30 ლარი – *56258; |
| 200 ლარი – 282369; | 30 ლარი – *55501; |
| 200 ლარი – 268826; | 25 ლარი – **9016; |
| 100 ლარი – 115424; | 20 ლარი – **1820; |
| 100 ლარი – 386887; | 10 ლარი – ***426; |
| 100 ლარი – 466901; | 10 ლარი – ***454; |
| 100 ლარი – 228876; | 10 ლარი – ***474; |
| 100 ლარი – 484684; | 1 ლარი – ***926; |
| 90 ლარი – *31632; | 1 ლარი – ***990. |

„ლატარია ყველასათვის" გათამაშდება ყოველ პარასკევს.

1997 წლის 35-ე ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **6185: 0727:** გათამაშებაზე შეუძლიათ 12 სექტემბერს ტელევიზიის შენობაში მობრძანდნენ.

# გიორგი ქათამაძე: ყალიბდება ნამდვილ მესაკუთრეთა ფენა!..

მეცხრე გვერდიდან

სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის მომზადების, განხილვისა და პარლამენტის მიერ მისი დამტკიცების ხანგრძლივმა პროცესმა. ახლა ასეთი კანონი უკვე გვაქვს, რაც მომავალში წარმატებული საქმიანობის საწინდარია.

ახალი კანონის მიღების შემდეგ სტრუქტურული ცვლილებები განვახორციელეთ სისტემის მართვის აპარატში, შევამცირეთ და გავაერთიანეთ პარალელური სტრუქტურები, წლის ბოლომდე ყველა ორგანიზაცია დასტრუქტურული ერთეული მოყვანილ იქნება კოოპერაციის შესახებ ახალმიღებულ კანონთა შესაბამისობაში. ამ მიმართებით ხელახლა ვამოწმებთ ადრეჩამოყალიბებული ორგანიზაციების დამფუძნებელ დოკუმენტებსაც.

*– როგორი ურთიერთობა გაქვთ ბიუჯეტთან, როგორ ასრულებენ სახელმწიფოს წინაშე თავიანთ ვალდებულებებს ჩვენი კოოპერატორები?*

– ჩვენს ქვეყანაში არ მეგულება სხვა ისეთი სტრუქტურა, სამინისტრო თუ უწყება, რომელსაც ბიუჯეტში ისეთი დიდი შენატანები შეჰქონდეს, როგორც ცეკავშირს. შარშან ჩვენს მიერ ბიუჯეტში ჩარიცხულმა საერთო თანხამ 5,5 მილიონი ლარი შეადგინა. დღევანდელი წლის განვლილ პერიოდში სისტემამ სახელმწიფო ხაზინაში ორი მილიონი ლარი შეიტანა, რაც მართალია, ცოტაა ჩვენს შესაძლებლობებთან შედარებით, მაგრამ ვეცდებით, დარჩენილ დროში პირნათლად შევასრულოთ საბიუჯეტო ვალდებულებანი.

*– დაბოლოს, ბატონო გიორგი, კიდევ ერთი კითხვა: კმაყოფილი ბრძანდებით თუ არა თქვენს სისტემაში მომუშავე კადრებით. როგორ ართმევენ თავს ისინი სრულიად ახალ პირობებში თავიანთ მოვალეობას?*

– კადრებთან მუშაობა ჩვენი ყოველდღიური საზრუნავია. სამწუხაროდ, სისტემაში ჯერ კიდევ იგრძნობა მაღალპროფესიული, კეთილსინდისიერი მუშაკების ნაკლებობა, ამასთანავე, ყველა ხელმძღვანელს არა აქვს შეგნებული, რომ იგი არჩეულია მეპაიეთა მიერ და, უპირველეს ყოვლისა, ანგარიშვალდებულია მათ წინაშე; ყოვლად დაუშვებელია თვითნებობა და უყაირათობა. ამიტომაც მკაცრად ვეკიდებით ყოველ ასეთ გამოვლინებას, ხშირ შემთხვევაში წინადადებებით შევდივართ რაიკოოპერატივების მეპაიეთა წინაშე, რათა დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლონ ისინი, ვინც თავს ვერ ართმევს დაკისრებულ მოვალეობას. ასეთი ბედი ეწია, მაგალითად, ხონის, ახალგორის, წალენჯიხის, ახალციხის რაიკოოპორგანიზაციების ხელმძღვანელებს. ახლა ვსწავლობთ ლაგოდეხის რაიკავშირში შექმნილ მდგომარეობას. იქ გამოვლენილია დიდი დარღვევები და, ალბათ, მოგვიწევს თავმჯდომარის გათავისუფლება.

**ესაუბრა გიზო ზარნაძე**

**დათო ჩოჩოშვილს!**

დათო, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და უსაზღვრო სიყვარულს.

ნინო თაბაგარი

## საზღვარგარეთ

### შარიათის კანონებით ჩეჩნეთში კიდევ რამდენიმე კაცს ელის სიკვდილით დასჯა

შარიათის კანონებით ჩეჩნეთში კიდევ რამდენიმე მკვლელი და ადამიანების გამტაცებელი ელის სიკვდილით დასჯას – თქვა რადიოსადგურ „ეხო მოსკვისთან" ინტერვიუში ჩეჩნეთის მთავრობის ვიცე-პრემიერმა მოვლადი უდუგოვმა.

მისი თქმით, იჩქერიის სისხლის სამართლის კოდექსი, რუსეთის ანალოგიური კოდექსისაგან განსხვავებით, ისლამური სამართლის ნორმებზეა დამყარებული, რაც სიკვდილით დასჯასაც ითვალისწინებს. სასჯელის ეს ზომა იარსებებს მანამდე, ვიდრე დამნაშავეები იქნებიან – თქვა უდუგოვმა.

ვიცე-პრემიერი თვლის, რომ ჩეჩნეთი ახლო პერსპექტივაში არ იტყვის უარს სასჯელის უკიდურეს ფორმაზე. „მე არ მეშინია იმის, რომ ეს ფაქტი გააფუჭებს ჩეჩნეთის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობებს. ისინი მშვიდად ადევნებდნენ თვალს, თუ როგორ გვხოცავდნენ ჩვენ. ამიტომაც არ მოვახდენთ განსაკუთრებულ რეაგირებას მათ რეაქციაზე" – თქვა მან. (პრაიმ-ნიუსი)

### ჟირინოვსკი ყირიმის ახალი ომის დაწყებას ვარაუდობს

რუსეთში 2010 წლისთვის ყირიმის მეორე ომია მოსალოდნელი. ამჯერად საშიშროება მოდის არა მარტო თურქეთის, არამედ შეიარაღებული ჩინეთის მხრიდანაც – ასეთი პროგნოზი გააკეთა რუსეთის ლიბერალ-დემოკრატების ლიდერმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ პრესკონფერენციაზე „1997 წლის ცხელი ზაფხული". ამ ომის თავიდან ასაცილებლად ჟირინოვსკის პარტია 7 ნოემბერს დაიწყებს მუშაობას, როდესაც ვლადიმერ ვოლფოვიჩი მომხრეებთან მოსკოვის ქუჩებში გამოვა ერთადერთი ლოზუნგით – „წადით".

ჟირინოვსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დღეს რუსეთში ველური ვითარებაა. მაგალითად, „განიხილავენ – ივან რიბკინი საგარეო საქმეთა მინისტრი იყოს თუ საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელი. ეს სხვა და სხვა მცნებებია. იმას, ვისაც შეუძლია საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელობა, არ ძალუძს მინისტრის მოვალეობის შესრულება და პირიქით". კრემლი პოლარულად საპირისპირო გადაწყვეტილებებს ღებულობს – ჯერ ჩეჩნეთში კონსტიტუციური წესრიგის დამყარებას ცდილობდნენ, ახლა, ეს-ესაა დამოუკიდებლობას მისცემენ მას – თქვა ჟირინოვსკიმ. ვოლფოვიჩის აზრით, თანამდებობიდან უნდა გადადგნენ ფსევდორეფორმატორები, რომელთაც ხელისუფლების მაღალი ეშელონები ჩაიგდეს ხელში. (პრაიმ-ნიუსი)

# კროსვორდი




მწოლიარედ: 1. „რაციების არჩევითი" თრთოლვა (რუს.კავშ.); 7. საქართველოს გამყიდველი „ორჯორიანი" პიროვნება; 9. ყველაზე „თბილი" ქალაქი საქართველოში; 10. „გულიანი" თევზი; 13. „ქსივა" მიღებული ლათინური ასო; 16. „სანდროსა და გარის" სამალავი; 18. ქანების გამოხარშვით მიღებული „კარგი" ფისი (ინგ.კავშ.); 19. ქალაქი საქართველოში, სადაც „ავი რუსები" დადიან; 20. სადმე გასაგზავნი „მანათიანი" ნივთი; 21. „ალმოდებული" ფერადი ლითონი; 27. „ბაიების იარაღიანი" დროშა; 28. მწვერვალი, სადაც „ბუზებიც" ვერ ადიან; 29. „ლომის ცხვირის" მქონე რუსი პოეტი (ნაწ.რუს.კავშ.); 30. მყარი სხეული, რომელსაც აქვს მრავალკუთხედის ფორმა.

მდგომიარედ: 2. რუსი ფეხბურთელი, რომელიც სულ „ხიხინებს"; 3. „ციკლიანი" გრიგალი; 4. „თლილი" შუშის ჭურჭელი; 5. ადრინდელი ინტელიგენციის დასალევი მდინარე; 6. „უბეში" ჩამდგარი წყალი; 8. რისამე საბუთის „ასი" ორეული; 11. ჯილდო, რომელიც „ოსს კარებზე" უკიდია; 12. „გოეთეს" საყვარელი სოფელი კასპის რაიონში; 14. „ალას" ძველი მექანიკური საკრავი; 15. „პირდაღებული" ადამიანი; 17. „ოდაში" ნახული სამკურნალო პრეპარატი; 18. ზღაპრების ხურჯინი; 21. „ფრთიანი" რუსი მოიგავარაკე (რუს.კავშ.); 22. „ალის ასი" ნახევარკუნძული ამერიკაში; 23. ტასიკოს წარმომავლობა (მულტფ.); 24. „როლში შეჭრილი" მაღალხარისხოვანი მინა; 25. „ბაიების" ტბა ეთიოპიაში; 26. „აზოს" მიერ წარმოთქმული ჩანაფიქრი.

**თათია ბერაძე**

## ნინა ნომრის კაიფვორდის პასუხი

მწოლიარედ: 1. მოდინახე; 5. სტამბული; 9. ლავა; 10. ოკა; 11. აბრა; 12. ბოთლი; 13. ოსტრი; 14. ანი; 16. რკო; 19. კახეთი; 20. გვიმრა; 23. ანა; 26. ირა; 28. ორერა; 29. იფანი; 32. აკრი; 33. უბე; 34. გირა; 35. ალიაქოთი; 36. ანალგინი.

მდგომიარედ: 1. მალინა; 2. დევი; 3. ალგეთი; 4. ეროტიკა; 5. სტალონე; 6. ასორტი; 7. უშბა; 8. იყალთო; 15. რომბი; 17. ათი; 18. ავი; 21. ორაგული; 22. ოლიევერა; 23. ანკარა; 24. მელანო; 25. ჰავანა; 27. აკვანი; 30. არდი; 31. ბინი.

## ნინა ნომრის კროსვორდის პასუხი

ჰორიზონტალურად: 1. ალაბამა; 5. არმავირი; 6. აქილევსი; 8. აიმაკი; 9. ალუ; 10. აპოგეა; 11. ალოობა; 15. აბორტი; 18. ანთროპომორფიზმი; 21. არქივი; 22. ანდორა; 24. აიაზმა; 26. არი; 27. აბულია; 28. არკებუზი; 29. აგრეგატი; 30. ამბიცია.

ვერტიკალურად: 1. აჭიმი; 2. აფიში; 3. არქიელი; 4. ასპექტი; 7. ალა; 12. ალფონსი; 13. ალფონსო; 14. აგნოზია; 15. ანაფორა; 16. ათი; 17. აზე; 19. არბიტრი; 20. არტისტი; 23. არე; 25. ალუჩა; 27. აორტა.

მთავარი რედაქტორის მოადგილე

გელა ებანოიძე

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444